№ 2787
შაბათი,
2 აპრილი

ცნობის ფურცელი

№ 2787
შაბათი
2 აპრილი

გაზეთის ფასი: წელიწადში—6 მ. თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „ცნობის ფურც.“ რედაქციის კანტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27. განცხადებანი რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და გ. მეტცლისა და კამპ. განცხადებათა კანტორებში მოსკოვსა და პეტერბურგში.

ყოველ-დღიური გამოცემა
1896—1905

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, წინადღის 11—1-ლ საათამდე.—დაუბეჭდავს მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს. ხოლო ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 37.

ნინო ბალდასარის ასულის კოხტიევის

გარდაცვალების მეორმოცე დღეს, 3 აპრილს, ფეთხაინის ღვთის-მშობლის ეკკლესიაში $10^1/_2$ საათზე გადახდილ იქმნება პანაშვიდი, რასაც აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ მეუღლე განსვენებულისა **მნაცაკან არტემას ძე კოხტიევი.** (1—143—1)

ელისაბედ ტატოს ასული სტეფანბეგოვისა, დავით ივანეს ძე და მარიამ ითმას ასული ალბაშევები გულითადის მწუხარებით აუწყებენ გარდაცვალებას ძვირფას

პეტრე სტეფანეს ძის სტეფანბეგოვისას.

პანაშვიდი 1 აპრილს, საღამოს $6^1/_2$ საათზე. გვამის გამოსვენება მოღნინის ეკკლესიაში შაბათს, 2 აპრილს, დილის 10 საათზე საკუთარ სადგომიდან (ფეთხაინის ქუჩა. საკუთ. სახლი). დასაფლავება ხოჯივანის სასაფლაოზე. (2—148—2)

თავადი ანტონ კონსტანტინეს ძე ჩხეიძე გულითადის მწუხარებით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ უდროვოდ გარდაცვალებას თავისის საყვარელ რძლის

ლიპა ბაგრატის ასულის ჩხეიძისას

და სთხოვს მობრძანდნენ მიცვალებულის გამოსვენებაზე 3 აპრილს, დილის 10 საათზე, ბალახვანის ქუჩაზე საკუთარ სახლში. (1—ნკ.—1)

განცხადება
ძმ. თამამშევების ქარვასლის ვაჭრები

ამით საყოველთაოდ აცხადებენ, რომ ამა 1905 წლის 28 მარტიდან (გასულ ორშაბათიდან) **ვაჭრობა იწყება დილის 8 საათზე და თავდება საღამოს 6 საათზე.** ამასთანავე დადგენილია **ყველასათვის სავალდებულოდ შემდეგი წესრიგი:** ვაჭრობა სწარმოებს ულაპარაკოდ, ფასის აუწევ-დაუწევლად. გარდა ამისა, აკრძალულია მუშტრების დაძახება-შეხმობა მაღაზიებში.

თუ ვინიცობაა ამ ყველასათვის სავალდებულო წესრიგს ვინმე დაარღვევს, უმორჩილესად ვსთხოვთ პატივცემულ მუშტრებს, დაუყოვნებლივ აცნობონ ამის შესახებ თამამშევის ქარვასლის ვაჭრებს ბ-ნთ ს. ი. ფორაქაშვილს და ს. გ. ფარეშოვს, რომელნიც არჩეულნი არიან ქარვასლის ვაჭრებისაგან. (5—153—1)

ძმ. ნიკიტინების ცირკი.

შაბათს, 2 აპრილს, დიდი წარმოდგენა 3 განყოფილებად. სხვათა შორის საღამოს ასე 11 საათზე გაიმართება სამ **კავკასიური ჭიდაობა.** ცნობილი ფალავანი **კობილაშვილი** დაეჭიდება ცნობილ ფალავანს **ვანო თარხანოვს.** გამარჯვებულს 25 მან. პრემია დანიშნა თვითონ თარხანოვმა თავის ჯიბიდან. მეორე ჭიდაობა: ცნობილი ფალავანი **ჯიბგირი** დაეჭიდება ფალავანს **იოსებ ბაკურიანცს.** გამარჯვებულს ვერცხლისსაათი. მესამედ გაიმართება ორი ჭიდაობა უპრემიოდ. დასასრულ კომიკური პანტომიმა. **ნეგრების ცხოვრება.** დასაწყისი საღამოს $8^1/_2$ საათ. დაწვრილები პროგრამაში. (1—1

სასტალრო სახელოსნო
იოსებ მაჭავარიანისა
იღებს შემოკვეთას ყველანაირ ავეჯისას, ყველასათვის ხელმისაწვდენ ფასში. იქვე იყიდება დამზადებული წიგნების და ბუფეტის შკაფები და სასადილო სტოლები. ელისაბედის ქუჩა № 19. (10—6.—9)

ქ. გორში, რუსის უბანში **იყიდება ორ-სართულიანი სახლი,** მოწყობილობით. ორ-მხრივ ქ. მსურველთ მიჰმართონ პატრონს: Ломанная ул. № 11. (4—138—3)

აბრეშუმის თესლი თეთრი ნამდვილი ბაღდადის ჯიშის **შ. პ. ლაზარიდის** ფირმის, ტფილისის საბრეშუმო სადგურის ბანდეროლით და უამისოთაც. იყიდება ძლიან იაფ ფასებში, ტფილისში **ბ. გ. კრასნიანსკის** კანტორაში, ბარიათინის ქ. № 8.

ტფილისის
კერძო სამკურნალო
მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა.
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.
დილით:
ვ. ი. ხიმშიაშვილი. კბილის 8—9 საათ.
მ. გ. მაღალაშვილი. შინაგანი ოთხშაბ. 9—10 საათ. და კვირაობით 9—11 საათ.
ა. ი. ბალარჯიშვილი.—ბავშვებისა. $9^1/_2$—$10^1/_2$ ს.
ნ. ი. მულინი.—ყურისა, სასისა და ცხვ. 10—11.
ი. დ. დანიბეგაშვილი.—შინაგ. სამშ., ხუთშ., პარასკ. და შაბათობით 11—12.
ძ. მ. მაჩაბელოვი. შინაგ. და ბავშვ. 12—1.
დ. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი, და ნერვებისა 12—1 ს.
1. ქალი ე. ქ. იოსელიანი.—ქალისა და საშვილოსნო, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 ს.
ქ. ნ. ფიასამიძე.—ვენერიული და კანისა $12^1/_2$ $1^1/_2$ საათ.
ს. ს. ალექსი-მესხიშვილი.—ქირურგია 1—2.
საღამოს:
ს. ი. გამაძე.—შინაგ. 6—7 საათამდე.
ოპერაციების გაკეთება შეუძლიანთ გარეშე ექიმ-ქირურგებსაც.
ოპერაციის რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., სავადმყოფოში აქვს ოცი საწოლი. სამკურნალოში ოპერაციები მორიგებით. კრავატები დღეში დარის 2-დან სამ მანეთამდე. საზოგადო და ნომერი—5 მან.
ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (კუკიის ხიდიდან მეცხრე სახლი) სახლი აბრამოვისა, № 9. მიხეილის ქუჩიდან-კი 84 Б.
ტელეფონი № 274.

ექიმი
ვ. ს. მუსხელიშვილი
მიიღებს თვალებით ავადმყოფებს: დილით 12—2 ს. საღამოთი 6—7 ს. ყოველ დღე გარდა სამშაბათისა. კუთხე კირკის და დიდი მთავრის ქუჩებისა სახლი სვანიშვილისა № 11.

ქ. ქუთაისში, პუშკინის ქუჩაზე, სადაც მოთავსებული იყო სასტუმრო „ფრანცია“, გაიხსნა პირველ ხარისხოვანი სასტუმრო
„გრანდ-ოტელი“
შუა ქალაქში, ფოსტის და ვაკზლის ახლოს. შენობა სრულიად გაახლებულია და ახლად მოწყობილი. ყოველივე მოწყობილება ახალია და საუკეთესო ღირსებისა, მშვენიერი რესტორანით, სალაზბო კაბინეტით და სამკითხველოთი, საუკეთესო სამზარეულოთი სადაც მზადდება ევროპიული და ადგილობრივი საჭმელები გამოცდილ მზარეულის ზედამხედველობით. სასტუმრო განათებულია ელექტრონით. მსურველთ შეუძლიათ მიიღონ თბილი და ცივი ვანები და დუში. მოსამსახურეები ქალები და კაცები ცქვიტნი და ზრდილობიანნი. ნომრების ფასი ერთი მანეთიდან. ფასები ყველაფერზე ზომიერია. ყველგან და ყოველგვარად სისუფთავე და სიფაქიზეა. (15—ბყ.—12)

კბილის ექიმი
ე. ი. ბალარჯიშვილი
იღებს ავადმყოფებს 10—3 საათამდე და 5—7
ოლღის ქუჩა № 115. გერმანელთა ტაძრის გვერდით. (30—278—7)

ბავშვების ექიმი
ა. ი. ბალარჯიშვილი
კიევის უნივერსიტეტის ბავშვთა სნეულებათა კლინიკის ორდინატორად ნამყოფი იღებს ავადმყოფებს მხოლოდ 15 წ. ასაკამდე ყოველ დღე 11—12 წ.
მიხეილის პრ. № 115. ხუდადოვის ეკკლესიის გვერდით. ტელეფ. 729. (30—91—22)

ქ. ბათუმში
ექიმი ა. გ. მაჭალაშვილი
მიიღებს შინაგანის და ბავშვების სნეულებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9—10 საათამდის.
ტფილისის და ვლადიკავკავის ქუჩების კუთხეში კომეროვის ბანკის სახლი. (60—403—4)7

ექიმი
ა. ნ. დიასამიძე
მიიღებს ავადმყოფებს: სიფილისის, კანის და ვენერიულის ყოველ დღე დილის 9—11-მდე და საღამოს 6—8-მდე, გარდა კვირის საღამოსი. ლორის-მელიქოვის და ბარონის ქუჩების კუთხე, მესხიშვილის სახლი ფოსტის პირდაპირ № 18. (60—28—49)

ექიმი
გ. ი. ტერ-გრიგორიანცი
შინაგანთა, სპეციალისტი გულისა და ბავშვების ავადმყოფობის, რენტგენის სხივის კაბინეტი. დილის 10—11 საათ. და 5—7 საღ. მიხეილის პრ. № 545 ტელეფონი № 825. (90 296—20)

კბილის ექიმი
ივანე პ. ახალშენიშვილი
გადავიდა: ნიკოლოზისა (№ 82) და ხიდის (№ 21) კუთხეში, ავჭალის ქ. დასაწყისში, სახლი ლაზარაშვილისა. ავადმყოფებს იღებს 9—2 და საღამოს 5—7. კვირა-უქმით 10—1-მდე!

საუკეთესოდ ცნობილი
ასოების ჩამოსასხმელი ქარხანა
წიგ. გამ. ქართ. ამხანაგობისა.
ამზადებს ყოველნაირ ქართულს, რუსულს, სომხურს და თათრულს ასოებს.
პრეისკურანტი მსურველთ უფასოთ ეგზავნებათ.

რუსეთ-იაპონიის ომი
დეპეშები

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან.
1 აპრილი

ლონდონი. ჰფიქრობენ, როჟესტვენსკის ესკადრის ნატუნის კუნძულებთან გამოჩენა იმის მომასწავებელია, რომ მას არა აქვს განზრახვა საიგონში წავიდეს. ნატუნის კუნძულები საიგონის გზის აღმოსავლეთით არიან. ჰფიქრობენ როჟესტვენსკი ჩინეთის ზღვით წავა ჩრდილოეთით.

ნიუ-იორკი. ადმირალმა დიუიმ აზრი გამოსთქვა, ტოგომ რომ ბრძოლა წააგოს, მაშინ ომის შედეგი გადაწყვეტილი იქნებაო. რუსები მოსჭრიან იაპონელთ ჯარებს სამშობლოდან და მით დაასუსტებენ მათო.

მარსელი. რუსის სამ-ანძიანი გემი „ბრენნუსი“, რომელიც რიგიდან მოდიოდა, დაეჯახა ფარამანის კლდეებს და დაიღუპა. მეზღვაურები გადაარჩინეს.

პეტერბურგი. ოფიციალური. იმ უმაღლეს რესკრიპტში, რომელიც გამოცემულია 30 მარტს სახელმწიფო საბჭოს წევრის გორემიკინის სახელზე, ნათქვამია: „რუსეთის სახელმწიფოს კეთილდღეობისთვის ზრუნვათა სათავეში მე ვაქცევ იმ აზრს, რომ საჭიროა რაც შეიძლება გაუკეთესდეს გლეხკაცების მდგომარეობა. ამ საგნის შესახებ დამხვედრიდ საქმეებიდან სჩანს, რომ იმპერიის ზოგიერთ გუბერნიებში ამ წოდების ეკონომიური მდგომარეობა ძლიერ უთუოდ შერყეულია. ვსცნობ რა საჭიროდ, დაუყოვნებლივ შევუდგეთ ამ სამწუხარო მოვლენის მოსასპობ ღონისძიებათა შემუშავებას, სასარგებლოდ ვხედავ, რომ განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს იმ რეფორმებისა, რომელნიც შინაგან საქმეთა სამინისტროში მზადდება ამ ჟამად, მიექცეს გლეხების მიწათმფლობელობის წესრიგის განმტკიცებას, რადგანაც ეგაა მთავარი საფუძველი ხალხის კეთილდღეობისა. ამიტომ საჭიროა ვიზრუნოთ და გამოვიკვლიოთ, რა პრაქტიკული გზებია გამოსადეგი ამ მიზნის განსახორციელებლად, იმ ერთ პირობით კი, რომ მტკიცედ იქნას დაცული კერძო მიწათმფლობელობა. უნდა შემუშავდეს აგრეთვე ზომები, რომელთა დახმარებით გლეხებს შეეძლოთ ისარგებლონ მათდამი გადაცემულ სანადელო მიწებით ისე, როგორც თანამედროვე პირობებს შეეფერება, შეუმსუბუქდეს უმიწაწყლო გლეხ-კაცობას მათდამი მინიჭებულ გადასასახლებელ ადგილებზე გასვლის პირობები ანა და გაადიდოს თავისი [illegible] ბანკის საშუალებით. საჭიროა ზრუნვა იმის შესახებ, რომ გამოსაზღვრულ იქმნან საგლეხო ნადელები დანარჩენ მემამულეთაგან, რათა ამით შეიგნონ გლეხ-კაცებმა კერძო საკუთრების ხელ-უხლებლობის საჭიროება. ზემოაღნიშნულ ღონისძიებათა შესამუშავებლად საჭიროდ ვსცნობ დავნიშნო საგანგებო თათბირი ჩემმიერ არჩეულ პირთაგან. თქვენ მოგანდობთ ამ თათბირის დროს თავმჯდომარეობას და ვეღი, რომ თქვენდამი მონდობილი საქმე, რაც შეიძლება ადრე, შესრულებულ იქნება თანახმად ჩემის ბრძანებისა.“

ვარშავა, 31 მარტი. 23 მარტს სამხედრო სასამართლოში არჩიეს საქმეები გლეხებ ანტონ შილიაშეკისა, რომელსაც აბრალებდნენ, გოროდოვოი დინკას ცემა და რევოლვერისა და ხმლის წართმევა მოუნდომათ, და იოან ზაკრჟევსკისა, რომელმაც უნდოდა ზედამხედველის პავლოვის მოკვლა ჩაიზრახა, რა მიზნითაც მას რევოლვერი ესროლა. პირველს ჩამოხრჩობა გადაუწყვიტეს, მეორეს კი 12 წლის კატორგა. პირველმა განასაჩივრა სასამართლოს გადაწყვეტილება.

მოსკოვი. აქ მოვიდა დედა დიდის მთავრის მკვლელ ივანე კალიაევისა.

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან“
31 მარტი.

პარიჟი, 31 მარტი. „მატენ“-ის კორესპონდენტი იუწყება, რომ რუსეთის არმიას მაშველი ჯარი მოუვიდა, იგი სრულიად გამოკეთდა და მზადაა ბრძოლისათვის.

ერევანი, 31 მარტი. საბჭომ ერთხმად მიიღო 28 პუნკტი, რომელნიც საერთო და სპეციალურ ხასიათის საჭიროებებს შეეხებიან და რომელნიც წარდგენილ იქნებიან მინისტრთა საბჭოში.

ოდესა, 31 მარტი. უცნობმა ახალგაზრდამ რევოლვერი ესროლა და დასჭრა პოლიციის ბოქაული ოლშევსკი. ტყვია შიგ გულში მოხვდა. დამნაშავე უარი განაცხადა თავის ვინაობაზე.

რეველი, 31 მარტი. ჩუგნდის ქარხანაში გაიფიცნენ 4 განყოფილების მუშები, რიცხვით ათასამდე.

ჟურნალ-გაზეთებიდან

იაპონიისა და რუსის ფლოტის მოქმედება. ბატავიიდან იუწყებიან, ხმა ანამბასის კუნძულებთან მომხდარ საზღვაო ბრძოლაზე არ გამართლდაო. ადმ. როჟესტვენსკის ესკადრა ნატუნის კუნძულებთან უნახავთ. ჰფიქრობენ, რუსის ესკადრა საიგონში აღარ შეივლის, პირდაპირ ჩინეთის ზღვით წავა ჩრდილოეთისაკენაო. იაპონიის კრეისერები კოხინხინას ნაპირებთან (საიგონს ახლო) დადიან, რომ რუსებს ქვა-ნახშირისა და სურსათის ზიდვა დაუშალონ. ტოკიოში ჰფიქრობენ, ადმ. ტოგო კუნძულ ფორმოზასთან, ან პეკადორის კუნძულებთან შეებრძოლება ადმ. როჟესტვენსკისაო.

როდის და სად მოხდება უმთავრეს ფლოტის ბრძოლა, რასაკვირველია, ეს ძნელი გამოსაცნობია, მაგრამ მოწინავე რაზმებს-კი, თუ ჯერ არ მოსვლიათ, აუცილებლად მალე მოუვათ შეტაკება. სამხედრო მიმომხილველები ჰფიქრობენ, იაპონიის ფლოტის მოწინავე რაზმის უფროსი ადმ. დევა უსათუოდ დაეცემა რუსის სატრანსპორტო და ქვა-ნახშირის მზიდველ გემებსაო. ადმ. დევა ახალგაზდა, განათლებული, მოხერხებული მეზღვაურია და მარჯვენა ხელია ადმ. ტოგოსი. შარშანაც ადმ. დევამ გაიტყუა ზღვაში ადმ. მაკაროვი. („ო. ნ.“).

„ტაიმს“-ის კორესპონდენტი იუწყება: ადმ. როჟესტვენსკის გემებს მადაგასკართან დგომის დროს იმდენი ლოკოკინა და ზღვის ბალახი მოეკრა, რომ ეხლა ესკადრა ორის მილით ნაკლებს მანძილს ვადის საათში, ვიდრე აქამდე გადიოდაო. („ს. ნ.“).

იაპონიის ფლოტის დავლა. როგორც ვიცით, იაპონელებმა ომის დროს სულ 41 გემი ჩაიგდეს ხელში. იაპონელებს არც ერთი გემი არ ჩაუძირავთ, ყველა სასიზოში მიიყვანეს, სხვა ფერად შეღებეს და ადმ. ტოგოს გაუგზავნეს ქვა-ნახშირის საზიდად. ამ გემებზე იაპონელებმა დიდ-ძალი საუკეთესო კარდიფის ქვა-ნახშირიც ჩაიგდეს ხელში და თავიანთ გემებს მოახმარეს. „მატენ“-ის კორესპონდენტი სწერს: ერთმა იაპონელმა მეზღვაურმა აფიცერმა მითხრა: „სულ ერთია, რუსებს არ უნდათ ქვა-ნახშირიო“.

გემების გარდა იაპონელებმა ბევრი ჯონკაც ჩაიგდეს ხელში. („ნ.“).

სამხედრო მოქმედება შუა მანჯურიაში. ამ ორ დღეში, 1 აპრილის დილამდე, დეპეშებს საყურადღებო ცნობა არა მოუტანიათ-რა ომის ასპარეზიდან.

ტოკიოდან ატყობინებენ ფრანგულ გაზეთებს: აქ ჰფიქრობენ, რომ მარშალი ოიამა მალე მთელის თავის არმიით გაილაშქრებს წინაო. საეჭვოდ მიაჩნიათ, რომ რუსებმა დიდი წინააღმდეგობა გაუწიონ იაპონიის ჯარს მდ. სუნგარის სამხრეთით, რადგან იაპონელები გვერდიდან მოუვლიან რუსის ჯარს, თუ გენ. ლინევიჩი გაჰბედავს და იაპონიის შუა ჯარს შეებრძოლებაო. („ბ. ვ.“).

იაპონიის სამხედრო მინისტრს ტერაუჩის უთქვამს: მარშალი ოიამა წინ გალაშქრებას განაგრძობს და ციმბირისაკენ იმდენ მანძილს გაივლის, რამდენიც რუსებს ჰნებავთ. სანამ ზავი არ დაიდება, იაპონია არსად არ შეაყენებს სამხედრო მოქმედებას. ჩვენმა მოწინავე ჯარმა კუანჩენძისა და გირინის გზის ნახევარი გაიარა, ჩვენმა მარჯვენა ფრთამ ხაილუჩანი (გირინის გზაზე) დაიჭირა. წინ გალაშქრება განუწყვეტლივ სწარმოებს, მარშალი ოიამა მეცნიერულის სისწორით მოქმედებს და ის ცნობა, ვითომ იაპონიის ჯარი დაღალულიყოს, ნამდვილი სულელური არაკიაო. („ნ. დ.“).

მუკდენიდან დაბრუნებულ რუსების ნაამბობი. როგორც ვიცით, მუკდენში ბევრი რუსი ექიმი, ექიმი-სტუდენტი, სანიტარი და მოწყალების და დარჩა. იაპონელებმა 15 მარტს ყველანი გაანთავისუფლეს და ზოგი არმიაში გაისტუმრეს, ზოგი რუსეთში. რუსის არმიაში დაბრუნებულ ექიმებსა და სტუდენტებს ბევრი საინტერესო ცნობა უამბნიათ კორესპონდენტისათვის.

სტუდენტ დვოიჩენკოს უამბნია „ნოვოე ვრემია“-ს კორესპონდენტ ლოდიჟენსკისათვის: რუსის უკანა ჯარმა მუკდენზე 25 თებერვალს შუადღის დროს გაიარა. იაპონელებმა წრე შემოავლეს და გზა მოუჭრეს უკანა ჯარს და იმის უფროსს გენ. განენფელდს. იაპონელები ნაშუადღევის 4 საათზე მოვიდნენ სადგურ მუკდენთან; მოწინავე ჯარს მუკდენის გვერდზე გაიარა; როცა პირველი მწკრივი წინ გაირბენდა ხოლმე, მეორე რიგის ალაგას დგებოდა და თოფი მხად ეჭირა სასროლად; შემდეგ მოსული იაპონიის ჯარი-კი მუკდენში დარჩა და რუსის საავადმყოფოებს დარაჯები დაუყენა. იაპონიის ჯარს სრულებით არ ემჩნევოდა დაღალულობა, ან დაქანცულობა. პირიქით, ყველანი მეტად მხნედ, მხიარულად, კარგად ჩაცმულები იყვნენ; მთვრალი არავინ გვინახავს, არც უკან დარჩენილი. ყველა არმიის უფროსებმა ადიუტანტები გამოგზავნეს და ექიმებს მადლობა გადაუხადეს, რომ დაჭრილ იაპონელებს ყურადღებით უვლიდითო. იაპონელი აფიცრები მშვენივრად ექცევიან სალდათებს, პურსაც ყველანი ერთად სჭამენ. სალდათებს ყველაფერი ეინტერესებათ, აფიცრებიც დიდის ყურადღებითა და ხალისით უხსნიან ყველაფერს. ვნახეთ მარშალი ოიამა, თავი დაბლად უჭირავს, ქალაქში ხუთის ჟანდარმითა და სამის აფიცრით გაიარა და ყველას მეტად ზრდილობიანად აძლევდა სალამს. როცა ქალაქში დადიოდა, არავითარი შეშინება არ ეტყობოდა ხალხსა და ჯარსა... 15 მარტს გენ. ოკუმ გაგვანთავისუფლა და კანვოი გამოგვაყოლა. 19 მარტს რუსის ჯარის მოწინავე რაზმებს მივუახლოვდით. სალდათებმა თოფი დაგვიშინეს, თუმცა თეთრი ბაირაღი მიგვქონდა. რუსის აფიცერი, რომელსაც წინ თეთრი ბაირაღი მიჰქონდა, ცხენიდან გადავარდა და ბაირაღი გადააგდო. მაშინ იაპონელმა აფიცერმა პარუჩიკმა ნაკაზავამ წითელ ჯვრის ბაირაღი აიღო ხელში და პირდაპირ რუსის ყაზახებისაკენ გააჭენა, თუმცა ყაზახები ჯვარედინად საშინლად ესროდნენ თოფსა. რუსის სტუდენტები, ექიმები და მოწყალების დანი ერთად ქვებს ამოეფარნენ, რომ ტყვია არ მოხვედროდათ; მერე სტუდენტებიც იაპონელ აფიცრებს მიჰყვნენ. ყაზახებს არა სჯეროდათ, რომ იმათ წინ რუსები იდგნენო.

„ბირჟევია ვედომოსტი“-ს კორესპონდენტი იუწყება: გენ. ოკუმ ტყვე ექიმებსა და სანიტარებს განთავისუფლების წინ სახედრო მუსიკის ორკესტრი გაუგზავნა. ორკესტრმა კარგად შეასრულა იაპონურ და აგრეთვე ევროპიულ მუსიკის ნომრები; სხვათა შორის გლინკის ნაწარმოებიც დაუკრა. („ბ. ვ.“).

სტუდენტ-ექიმს მილლერს უამბნია „რუსი“-ს კორესპონდენტისათვის: „ჩვენ საავადმყოფოში დავრჩით; იქ 59 დაჭრილი იაპონელი გვეწვა და 200 რუსი... ნაშუადღევის $4^1/_2$ საათზე იაპონიის ჯარი მოვიდა და ერთი იაპონელი აფიცერი პატარა რაზმით და ბაირაღით ჩვენკენ წამოვიდა. იაპონელი აფიცერი იმ საავადმყოფოში შევიდა, სადაც დაჭრილი იაპონელები იწვნენ და გამარჯვება მოულოცათ. გახარებულმა დაჭრილებმა „ბანზაი“ დაიძახეს, რუსებს მიეხვივნენ და მოვლისათვის მადლობა გადაუხადესო.

რუსეთის ზარალი ომისაგან. ფრანგულ გაზ. „მატენ“-ის ანგარიშით, რუსეთს ამ ომის დროს 437 ათასი ჯარის-კაცი დააკლდა, 1480 ზარბაზანი და 2 მილიარდი ფულად დაეკარგა. („ო. ნ.“).

ახალი ხანა კავკასიის მართვა-გამგეობაში

ქვემოდ ვბეჭდავთ კავკასიის ნამესტნიკის საყურადღებო მიმართვას კავკასიის მცხოვრებლებისადმი. ამ მიმართვაში გამოთქმულია პროგრამა ჩვენის ქვეყნის ახალ მმართველისა.

„მივმართავ ყველას სარწმუნოებისა და ეროვნების, განურჩევლად დამეხმარონ სამშობლო ქვეყნის სასიკეთო მოწყობაში. **რომ მშვიდობიანის გზით წესი დამყარდეს მხარეში, აუცილებელია ყველა საზოგადოებრივ ძალთა დახმარება“.**

ელემენტალური ჭეშმარიტებაა, დღეს ყველასათვის თვალსაჩინო, რომ ქვეყნის მართვა-გამგეობა შეუძლებელია, თუ „საზოგადოებრივი ძალნი“ არ იღებენ მონაწილეობას. აქამდე ეს ელემენტალური ჭეშმარიტება მხოლოდ ბიუროკრატიას არა ჰქონდა შეგნებული, ნებსით თუ უნებლიეთ...

ამ შეუგნებლობამ გამოიწვია დიდი და ძლიერი მღელვარება დღევანდელ ცხოვრებისა. სცადეს ძველის საშუალებით გამკლავებოდნენ აღელვებულ ხალხს—პოლიცია და ჯარია მისეული, მაგრამ ძველებურად ვერა სჭრის ეს ხერხი—დასაკარგავი რაღა გვაქვს, რომ ამას შევუშინდეთო, და ტალღა ტალღას ემატება.

ამ მხრივ ჩვენს ქვეყანას თუ პირველი არა, არც უკანასკნელი ადგილი უკავია და ბიუროკრატიასთან ბრძოლაში დიდი წვლილი აქვს შეტანილი.

აკი ბიუროკრატიის შეუგნებლობა, ზემოდ რომ ვსთქვით, შეირყა და ქვეყნის მოწესრიგებაში „საზოგადოებრივ ძალთა“ დახმარება აუცილებელ საჭიროებად მიიჩნევს...

სანამ ბრმა მორჩილება, ბალი-აღობა იყო გამეფებული ჩვენში, დამამცირებელის, შეუ-

რაცხმყოფელის აგდებით გვეპყრობოდნენ. დღეს, ხალხის გამოფხიზლების შემდეგ, როცა გაისმა ღრმა უკმაყოფილების ძლიერი ხმა, საზოგადოებას დახმარებას სთხოვენ.

მაგრამ დახმარებაც არის და დახმარებაც.

„თანახმად ხელმწიფე იმპერატორის ბრძანებისა, მე შევკრებ ხალხის წარმომადგენლების „თათბირებსო", ნათქვამია მიმართვაში. ჩვენ განგებ ვსთარგმნეთ სიტყვა-სიტყვით და ხაზი გავუსვით უკანასკნელ სიტყვას: სავსებით ცხადად ვერ არის გამოთქმული აზრი, მაგრამ მიმართვის ეს ადგილი ისე უნდა გავიგოთ, რომ ხალხის წარმომადგენელნი ერთად-კი არ იქნებიან თავმოყრილნი საერთო საქმეებზე სათათბიროდ, არამედ ცალკ-ცალკე და, შეიძლება, ცალკე კითხვებზე მოსალაპარაკებლად. თუ ასეთია ნამდვილი აზრი მოყვანილ ადგილისა, ეს „თათბირები" დღეს ვერავის ვერ დააკმაყოფილებენ.

ამ თათბირებში „უნდა შევიდნენ არჩეულები თავად-აზნაურობისა, ქალაქებისა და სასოფლო წარმომადგენლებისა, აგრეთვე მართლმადიდებელ, სომეხ-გრიგორიან და მაჰმადიან სასულიერო წოდებისა"-ო, განაგრძობს მიმართვა. მაშასადამე, კავკასიის ხალხთა წარმომადგენლობას „თათბირებში" წოდებრივი ხასიათი ექნება. თუ საზოგადოდ „თათბირები" ვერ დააკმაყოფილებენ საზოგადოების მოთხოვნილებას, ეს წოდებრივი ხასიათი კიდევ უფრო შეამცირებს მათ მნიშვნელობას. ხალხის ნამდვილ წარმომადგენლობას სარჩულად ნამდვილი საარჩევნო უფლება უნდა ჰქონდეს, ისე იგი არ იქნება წარმომადგენლობა. წოდებრივობას კი ამ ნამდვილ საარჩევნო უფლებასთან საერთო არა აქვს-რა.

იმ მძიმე საკითხების გადაწყვეტას კი, რომელიც დღეს ცხოვრებამ წამოაყენა, მხოლოდ ხალხის ეს ნამდვილი წარმომადგენლობა მოუვლის თავს. „თათბირები" ვერას გახდებიან იქ, სადაც ღრმა პოლიტიკურ-სოციალურ რეფორმების შემოღებაა საჭირო ხალხის ცხოვრების სასიკეთო გზაზე დასაყენებლად.

მიმართვაში აღნიშნულია ის საგნები, რომლებზედაც „თათბირებს" მსჯელობა ექნებათ. ეს საგნებია: რა ღონისძიებანია საჭირო ყოველ ავაზაკობის და უწესოების მოსასპობად, რამდენად საჭიროა ეხლა არსებულ სასამართლოს რეფორმა, როგორ უნდა იქნეს შემოღებული საერობო დაწესებულებათა დებულება.

გარდა ამისა მიმართვაში შემდეგი ადგილია: „ყოველ ღონეს ვიღონებ დაჩქარდეს გამიჯვნის საქმე და გამოირკვეს იმ სახაზინო ადგილების რაოდენობა, სადაც დასახლება შეიძლება მსაჭიროებელ მცხოვრებთა".

ძლივს გავიგონეთ მთავრობის წარმომადგენლისაგან, რომ ეგრედ წოდებულ სახაზინო მიწებზე ჩვენებურ უმიწა-წყლოსაც უნდა მიეცეს ადგილიო. აქამდე ამის მთქმელს სახელმწიფოს მოღალატე ერქვა რუს-პატრიოტების ტერმინოლოგიით. დღეს თვით მთავრობაც მიმხვდარა არსებულ უსამართლობას. ის სხვა საქმეა, თუ როგორ გამოგვადგება ეს მიხვედრა. მაგრამ ესეც და ყველა სხვა მძიმე საკითხები ჩვენის ცხოვრებისა გადასწყდება მხოლოდ მაშინ, როცა ხალხის ნამდვილი წარმომადგენლობა იქნება, არა სათათბიროდ მოწვეული, არამედ აღჭურვილი შესაფერის უფლებით, როგორც ეს დაწინაურებულ ქვეყნებში დღეს.

* * *

კავკასიის მცხოვრებთ *)

30 მარტს კავკასიის ნამესტნიკის გენერალ-ადიუტანტის გრაფ ი. ი. ვორონცოვ-დაშკოვისაგან მივიღე შემდეგი დეპეშა:

„ხელმწიფე იმპერატორის სურვილით მოწოდებული ვარ ჩემთვის ძვირფას კავკასიის მართვა-გამგეობის მეთაურად. სამწუხაროდ, ისეთ დროს დამევალა ეს თანამდებობა, როდესაც ყოველ დღე ამბები მოდის კეთილდღეობის დარღვევისა, არეულობის, ძარცვისა და სხვა-და-სხვა ძალ-მომრეობის შესახებ. როგორც ძველი სალდათი, შესაძლოთ არა ვსთვლი უარ-ვყო ბრძოლის დროს სამსახურში მოწოდება. ამასთანავე მტკიცე იმედი მაქვს, რომ შესაძლო იქმნება კავკასიის სრული დამშვიდება და ნაყოფიერ წარმატების გზაზე დაყენება. დარწმუნებული ვარ, რომ კავკასიის მკვიდრნი ერთგულ ქვეშევრდომნი არიან ხელმწიფე იმპერატორისა, რომლისთვისაც ერთნაირად ძვირფასნი არიან კავკასიის სხვა-და-სხვა ხალხნი. მივმართავ ყველა მკვიდრთ, ეროვნებისა და სარწმუნოების განურჩევლად, დახმარება გამიწიონ სამშობლო ქვეყანაში კეთილ წესიერების დასამყარებლად. კავკასიაში მშვიდობიანის გზით წესიერების დასამყარებლად კი საჭიროა ყველა საზოგადოებრივ ძალთა დახმარება. მრწამს ხალხის სიბრძნე და დარწმუნებული ვარ, რომ ხალხის აღშფოთებული ნაწილი ვერ გაუძლებს კეთილ-მოაზრე უმრავლესობის საერთო კვეთებას, ხელმწიფე იმპერატორის განკარგულებით, ჩემ მიერ მოწვეული იქმნება კავკასიის ხალხის წარმომადგენელთა თათბირები, რომლებშიაც მონაწილეობას მიიღებენ თავად-აზნაურთა, ქალაქთა და სასოფლო-საზოგადოებათა მიერ არჩეული წარმომადგენელნი, აგრეთვე წარმომადგენელნი მართლ-მადიდებელ, სომეხ-გრიგორიან და მაჰმადიან სამღვდელოებისა. თათბირებს წინადადება მიეცემათ გამოსთქვან თავიანთი აზრი იმის შესახებ, თუ რა და ზომები უნდა იქმნეს დაუყოვნებლივ მიღებული, რათა მოისპოს ყაჩაღობა, ძარცვა და უწესოება; თათბირებმა უნდა გამოარკვიონ აგრეთვე, თუ რამდენად საჭიროა შეცვლილ იქმნას კავკასიაში არსებულ სასამართლოს წყობილება, განსაჯონ, რამდენად შესაძლოა და მიზნის შესაფერი შემოღებულ იქმნას კავკასიაში დებულება საერობო დაწესებულებათა შესახებ. გარდა ამისა ყველა ჩემგან დამოკიდებულ საშუალებას ვიხმარ, რომ დაჩქარებულ იქმნას ადგილების გამიჯვნა, გამოირკვას რაოდენობან სახაზინო მიწებისა, რომელნიც გამოდგებიან მიწის უქონლობით შევიწროვებულ მკვიდრთა დასასახლებლად. სრულიად სომეხთა კათოლიკოსის უქვეშევრდომილეს თხოვნის პატივსაცემლად, უმაღლესად ნაბრძანებია ხელ-ახლად განხილულ იქმნას საქმე ხაზინაში გადაცემულ სომხის ეკკლესიის ქონებითა შესახებ.

დარწმუნებული ვარ, მთავრობის დაწესებულებების ყველა მოსამსახურე გამსჭვალული იქნება იმ რწმენით, რომ ძნელ დროში მეტად საჭიროა, სვინდისის მცნების თანახმად შემოიკრიბონ ძალ-ღონე ყველასათვის საჭირო კეთილ დღეობის მისაღწევად: სახეში უნდა იქონიონ კავკასიის წარმატება და კეთილ-დღეობა, იმ საფუძველზე დამყარებული, რომელიც აღნიშნულია ხელმწიფე იმპერატორის მიერ ჩემ სახელზე ბოძებულ რესკრიპტში.

გრაფი ვორონცოვ-დაშკოვი."

ვაცხადებ რა ზემოაღნიშნულ დეპეშას, მტკიცედ დარწმუნებული ვარ, რომ კავკასიის მკვიდრნი სავსებით დააფასებენ კავკასიის ნამესტნიკის საყურადღებო განცხადებას. აღნიშნულ დეპეშით მკვიდრთ ეუწყებათ, რომ ამ მოკლე ხანში კავკასიაში შემოღებულ იქნება ძირითადი რეფორმები, რომელნიც შეეხებიან ხალხის ცხოვრების უაღრეს მხარეს და განხორციელებულ იქნებიან ხალხის წარმომადგენელთა უახლოეს მონაწილეობით, სარწმუნოების, ეროვნების და წოდების განურჩევლად. ამ ძნელ საქმის დაწყებისა და კეთილად დასრულებისათვის მეტად საჭიროა დამყარდეს საზოგადოებრივ ცხოვრებაში მშვიდობიანობა, რათა შეძლება მიეცეს ხალხს უშფოთრად, დაუბრკოლებლად განსაჯოს თავისი საჭიროება და გონიერად მოეკიდოს მომავალ შრომას. ამის გამო ვიწვევ ხალხს დამშვიდდეს, დაიცვას წესი და კანონიერება, რათა ამ გზით დაჩქარებულ იქნას. კავკასიის მონაწილეობა რუსეთის შინაგან რეფორმებში იმ საფუძვლით, რომელიც აღნიშნულია უმაღლესად ბოძებულ რესკრიპტში: 18 თებერვალს—შინაგან საქმეთა მინისტრის სახელობაზე და 26 თებერვალს—კავკასიის ნამესტნიკის სახელობაზე.

კავკასიის მთავარ-მართებლის თანამდებობის ამასრულებელი გენერალ-ლეიტენანტი
მალამა

სოფლად

კახეთი. კარგა ხანია, რაც შიგნით კახეთში (თელავის მაზრაში) გლეხთა შორის გულ ჩათხრობილი მოძრაობა დაიწყო. რაც წარსულ შემოდგომაზე „შალაურის კანონმა" ყველა სოფელი მოიარა და თავისი სუსხი აჩვენა ავაზაკებს, სოფელი მიწყნარდა, მაგრამ იმ სიწყნარეში რაღაც მოუსვენრობა იხატებოდა. რაკი ერთხელ ბოღმის ერთი ნაწილი გამომჟღავნდა, დანარჩენის გამომჟღავნება მოსალოდნელი იყო, მარტო ზამთარი და სასტიკი სიცივე აჩუმებდა ხალხს. გამოზაფხულდა და დუმილმა ენა გამოიბა, აყვავდა ენა ჯერ ფუჭის ყვავილით, მერე და მერე კი უფრო სანაყოფო ყვავილის გამოტანა იწყო.

ბევრ სოფლის ამბავს ვტყობილობდით და არა გვჯეროდა, ეხლა თანდათან დასაჯერებელი გახდა, რომ სოფელში გლეხებს ჯერ გამოურკვევიათ თავისი ჭირ-ვარამი და მისგან გამოწვეული საჭიროებანი და მერე განუცხადებიათ: დღე არ გავიდოდა არ გაგვეგო: ესა და ეს სოფლის გლეხობა ჩუმ-ჩუმად ლაპარაკობს, თავადებს მამული უნდა ჩამოვართვათო; ან კიდევ ამა და ამ სოფელში გლეხებს გადაწყვეტილი აქვთ, თუმც ჯერ არ აცხადებენ და არც ასრულებს, რომ როცა გარეშე კაცია იმათ სოფელში, მუშაა თუ მემამულე, უნდა გავაგდოთ სოფლიდანაო, ან კიდევ ამ და ამ სოფელში გლეხებს მღვდელ-დიაკვანი გამოუდიათ, მასწავლებელიც თან მიუყოლებიათ და რაც საბატონო მამული ყოფილა ვენახებიანად, ერთმანეთში გაუყვიათ და მიჯნიც ჩაუყრიათ. ან კიდევ ამა და ამ სოფელში ვენახები გაუკაფავთ ლოდები დაუწვავთ, მარნები დაუქცევიათ და ნავენახობების ხვნა დაუწყიათო; კიდევ ამა და ამ სოფელში თავადობა გაუძევებიათ და ჯარიმებენ ვისაც სიტყვა „კნიაზი" ან „კნეინა" წამოსცდება. თუ ჯარიმას ვერ გადიხდის, კარგად სახრით და ქისტით უმასპინძლდებიანო; ამა და ამ სოფელში გლეხებს თავადის სახლი გაუძარცვავთ და მერე დაუქცევიათ სხვაგან თავადის სახლი აუკლიათ და გადაუწვავთო. ერთის სიტყვით, ყოველ დღე რომელსამე საშინელ ამბის გავრცელების წრეში ნება-უნებურად ტრიალებ, არა გჯერა სავსებით ამბავი, ატყობ-კი, რომ მართალიც ურევია, ხოლო ძნელია მართლის გამოცნობა აუარებელ გროვა ჭორებისაგან. ყველა გაგონილი რომ გაზეთის მკითხველისთვის გაგვეზიარნა, განწირულებაში ჩავაგდებდით. ახლა-კი, როცა თანდათან გამოირკვა საქმე, შეიძლება ვაცნობოთ მართალი.

24 მარტს უკანასკნელი კრება ჰქონიათ ს. ალმატის, საბუის, გრემის და ენისლის გლეხებს ს. ენისელში. ამ კრებაზე დაბოლოვებით შეუმუშავებიათ შემდეგი მოთხოვნანი: სრულიად მოსპობილ იქმნას დროებით ვალდებულ გლეხთა დამოკიდებულებანი; მიეცეთ მათ სანადელო მიწები ნაბატონართაგან უფასოდ; სახელმწიფო და საეკკლესიო მიწები მიეცეს სოფლის საზოგადოებას სათემო საკუთრებად; სანადელო ფული ვისაც გადაუხდია, დაუბრუნდეს სოფელს და ამ ფულიდან შესდგეს თავნი სკოლების და ექიმისთვის ხარჯის გასასტუმრებლად; გზების ბეგარაში ყველა მცხოვრებმა მიიღოს მონაწილეობა განურჩევლად წოდებისა; მოისპოს კოდი პურის მიცემა. ეკკლესია და მღვდელი შეინახოს იმან ვისაც უნდა; სწავლა ყველასათვის სავალდებულო უნდა იყოს 16 წლ. და უფასო; მოისპოს აქციზი და ყოველი არა პირდაპირი ბაჟი; შემოღებულ იქმნას ფართო თვით-მმართველობა. ერობა ყველასათვის თანასწორი, პირდაპირ და დახურული არჩევანზედ დამყარებული; სკოლასა და ყველა საზოგადო დაწესებულებაში უნდა იყოს ხმარებული ქართული ენა. მოისპოს საბალახე გადასახადი; ტყით სარგებლობა უფასო უნდა იყოს.

24 მარტს ეს მოთხოვნანი მიუტანიათ თ. ა. და დ. ჯორჯაძეებისათვის ხელის მოსაწერად. ამათ ახლოც არ მიუკარებიათ გლეხები, ხელის მოსაწერაზედ უარი განუცხადებიათ. წამოსულან კნ. ე. ჯორჯაძისას, მიუგზავნიათ ორი კაცი და უთხოვნიათ ხელი მოგვიწერეთო; მასაც უარი უთქვამს. ხალხი დიდის კივილით და ურას ძახილით მიახლოვებია სახლს და დაუშენია ქვები; კნეინას თანხმობა განუცხადებია. აგრეთვე ხელი მოუწერია თავ. ი. ჯორჯაძეს.

თავ. ა. და დ. ჯორჯაძეს წინააღმდეგ ბოიკოტი გამოუცხადებიათ. რასაკვირველია, ბოიკოტს დიდ გაჭირვებაში ჩაუგდია ორივე ოჯახი. მით უმეტესად, რომ წვრილი შვილები ჰყავთ და გარდა ამისა თავ. მ. ჯორჯაძეს გაჩაღებული მეურნეობა აქვს, საქონელი, ცხენი და სხვ. ყველა ამის მოვლა-პატრონობა გაუჭირდებოდა. გლეხები ახლო არ ეკარებოდნენ თურმე. გაჭირვებულს, ამბობენ, წერილი მიუწერნია, ოღონდ დამიბრუნეთ ჩემი მსახურები, ხელსაც მოვაწერ და თქვენი ამხანაგიც ვიქნები ყველაფერშიო. გლეხებს შემოუთვლია, საჯაროდ ბოდიში მოიხადე და ავხსნით ბოიკოტსაო.

ამავე სოფლებში არის ორი ახალი მემამულე: შტეინი და ვოზნესენსკი. ამათ მუშებმა მოახდინეს გაფიცვა. შტეინის მამულში 21 მუშა და ვოზნესენსკსაში 12 ყოფილა. აი მათი მოთხოვნანი: მუდმივ მუშებს რვა თვე 25 მან. ჰქონდეთ, 4 თვეს 20 მან. თითოს [illegible]; ამათგან ვინც მარტირების მუშებად დაინიშნებიან, ხუთი მანეთი მეტი უნდა მიეცეთ; მორტირებიან უნდა იყოს ქოხები, ნავთი და შეშა აღებისა; საჭირო სამუშაო იარაღიც პატრონის უნდა იყოს; რთველის დროს პატრონის ხარჯზედ ორი გულ-საფარი, ხალათი და შალვარი უნდა მიეცეს; კვირაობით სრული თავისუფლება; თუ კვირაობით საჭირო იყოს მუშაობა, დღეში მანეთი; ჯამაგირის მიღება ყოველ თვის ბოლოში უნდა ხდებოდეს; თვეში სამი დღის დათხოვნის უფლება ჯამაგირის მოუსპობლივ; ავადმყოფობის დროს ერთის კვირით მთელი ჯამაგირი, ამის შემდეგ ერთ თვემდის ნახევარი ჯამაგირი და ადგილიც შეენახოს.

— ნადიკვრელი

სოფ. ბრეთი (ქართლი). ჩვენის სოფლების ნიწყნარე და მშვიდობა ყაზახ-რუსების მოსვლამ დაარღვია, მით უმეტეს, რომ სოფლის ხარჯზე არიან. დილით და სადამოთი თითო ხარი უნდებათ. სწორედ ას-ოცი კაცია და იმდენივე ცხენი, ახლა ცხენების საკვები იანგარიშეთ და ხალხის საცოდაობას გაიგებთ. არ ვიცი, თუ ყაზახები ხალხის დასამშვიდებლად არიან გამოგზავნილნი, მაშ რაღას დააწვნენ კისერზე სოფელს, ეს ხომ უარეს აღელვებას და უკმაყოფილებას გამოიწვევს. გლეხ-კაცს საქონელი თავის თავს ურჩევნია და თუ ძალიან არ გაუჭირდა, თავის დღეში არ გაჰყიდის. და ეხლა ეს ყაზახები რომ ერთი კვირა მაინც დარჩნენ ერთ ალაგს, რაღა გადარჩებათ?! გლეხ-კაცნი ძალიან შეწუხებულნი არიან.

— ა—ი.

სოფ. საქობო (ქიზიყი). 30 მარტი სოფელ საქობოს სამამასახლისო შესდგება 1200-ზე მეტს კომლისაგან. ოდესმე განთქმული სოფელი მთელ ქიზიყში პურით, ღვინით, ცხვარ-საქონლით და შეძლებით, დღეს წარმოადგენს მთლად გაღატაკებულს სოფელს. უზომო სახელმწიფო და სასოფლო ხარჯებმა, საუკეთესო სახნავ-საძოვარის ჩამორთმევამ, ტყის ზედ მეტმა ხარჯებმა და მის შემავიწროებელმა სარგებლობამ მიიყვანა ეს სოფელი ამ დაღატაკებამდე. ამას ზედ დაუმატეთ სოფლის ყლაპია—გაიძვერა—მყლაპავი მამასახლისი, მწერლები და მოსამართლეები და თქვენს თვალს წარმოუდგება სრული უნუგეშობა ამ დაჩაგრულ ხალხისა. გონებრივი საზრდო ხომ ამათთვის არ არსებობს. თუმც კაი ხანია, რაც ერთი სამინისტრო სკოლა არსებობს, მაგრამ ყველას კარგად მოეხსენება, ამისთანა სკოლები ვის და რას ემსახურებიან. დაბეჩავებული და ყველასაგან დაჩაგრულ-შევიწროებული ხალხი უსიტყვოდ ითმენდა ამოდენა ვაგლახ-ტანჯვას და შველა-კი არსაიდან არ ეძლეოდა. წავიდა ხანი და დღევანდელმა ახალმა სიამ მოჰბერა აქეთაც და დიდიხნის დაგუბებულ ჯავრ-ვარამი ტალღასავით გადმოჰხეთქა... დღეს ველარც-კი იცნობს კაცი ამ ხალხს, ისე გაბედულად და ხმა მაღლა აღიარებს დღევანდელ მდგომარეობის და არსებულ მართვა-გამგეობის უვარგისობას. გუშინდელ მონა-მორჩილს დღეს ველარაფერი ვერ შეუშლის ხელს თავისუფლად ილაპარაკოს თავის ჭირ-ვარამზედ. ვინც გუშინ მათრახებით სცემდა მას, ეხლა სოროში მიიმალა და იქიდან იბღვირება და იმუქრება. ამასაც არ სჯერდებიან და აბეზღებენ მთავრობასთან, რომ არიქა, საქობო ბუნტობს და ლამის პოლიცია-მთავრობის ამოწყვეტასაო. მაგრამ

---

*) ეს მიმართვა კავკასიის მცხოვრებთა მიმართ დაბეჭდილია გაზეთ „კავკაზ"-ის ოფიციალურ ნაწილში (№ 86).

ფელეტონი

ექიმების კრება მოსკოვში და ბიუროკრატია

კრების დაწყებისთანავე მოსკოვში მრავალმა ექიმმა ერთხმად აღიარა ისტორიული დადგენილება, არ მიიღონ მონაწილეობა ხოლერის წინააღმდეგ ბრძოლის დროს იმ დაწესებულებებში, რომელნიც იხელმძღვანელებენ 1903 წ. გამოცემულ უმაღლესად დამტკიცებულ დებულებით. ეს არის ის საშინელი პროტესტი, რომლის ნიადაგი ყოველთვის ღრმად და ხანგრძლივად მზადდება ხოლმე. პირველის შეხედვით უცნაურია განხეთქილება, რომელიც არსებობს ექიმებსა და ბიუროკრატიას შორის იმისთანა საკითხში, როგორიც ბრძოლაა ხოლერის წინააღმდეგ ხალხის საკეთილდღეოდ. თითქოს რომ ხალხის ფიზიკური კეთილ-დღეობა არ შეიცავს არაფერ საშიშს ბიუროკრატიისათვის და, მაშასადამე, ამ კეთილ-დღეობის დასაცველად ბიუროკრატია უნდა დასთანხმებოდა ექიმების კორპორაციას, რომლის კომპეტენციასაც შეადგენს გადამდებ სენის წინააღმდეგ ზომების შემუშავება: სად არის მიზეზი განხეთქილებისა?

გადამდები სენი საშიშია იმდენად, რაოდენის სისწრაფითაც იგი ვრცელდება ხალხში. ამ მხრივ ხოლერას, მგონი, რომ არც ერთი გადამდები სენი არ შეედრება. ჩვენს დროში ხოლერა ვრცელდება ისეთის სისწრაფით, რა სისწრაფითაც დადის ხალხის მატარებელი. ამიტომ ბაქოში რომ გაჩნდეს ხოლერა, ორ-სამ დღეში, თუ უფრო ადრე არა, შეიძლება მოედოს ტფილისს, ქუთაისს და ბათუმს. რაც უნდა კარგად იყოს სენი შესწავლილი, რაც უნდა სამაგალითო ზომები იყოს შემოღებული, რაც უნდა სამაგალითო ზომები იყოს შემუშავებული, რაც უნდა მრავალი და კეთილსინდისიერი ექიმი ემსახურებოდეს ხალხს, ხოლერას გავრცელების შეჩერება შეუძლებელია, თუ კი სხვა, უფრო მნიშვნელოვანი პირები არ არსებობს თვით საზოგადოებასა და მის წეს წყობილებაში და ამით ხელს არ უწყობს საექიმო მეცნიერების მიერ შემუშავებულ ზომების მიღებას.

რა პირობებია საჭირო? პირველი პირობა, ურომლისოდაც ბრძოლა ხოლერის წინააღმდეგ უნაყოფო დარჩება, არის ხალხის გონებრივი განვითარება, სწორედ ის განათლება, რომელიც აკლია რუსის ქვეშევრდომთა უმრავლესობას და რომლის გავრცელებისათვის ცოტას ზრუნავს რუსის ბიუროკრატიული წრე. საჭიროა ხალხმა შეიგნოს ცნება, თუ რა არის ხოლერა? რით გამოიხატება, როგორ ვრცელდება და რა ზომებია საჭირო ხოლერის წინააღმდეგ საბრძოლველად? უფრო ცოდნის გავრცელება ხალხში შეიძლება ორ გვარად: საჭირო წიგნების გავრცელებით და ლექციების კითხვით. წიგნების გავრცელება წყლის ნაყვა იქნება დღეს-დღეობით, რადგან ხალხის 90 პროცენტმა კითხვა არ იცის. ლექციების კითხვას იმდენი დაბრკოლება უხვდება წინ ბიუროკრატიულ წეს-წყობილების გამო, რომ შეუძლებელია ამ გზით ნაყოფიერი მუშაობა. ეგ არ კმარა. საშინელი სიძნელე, რომელშიაც დღეს-დღეობით რუსის ხალხი იმყოფება, შეუძლებლად ხდის ინტელიგენციის ხალხში მუშაობას: არ არის ნდობა ინტელიგენციისადმი, მტრულად უყურებს მას ხალხი. საგულისხმოა, რომ 1892 წ. ხოლერის დროს, ცრუ-მორწმუნეობით გაბოროტებულმა რუსის ხალხის ბრბომ არა ერთს თავგანწირულ ექიმს, არა ერთ ბეითალს და სტუდენტს უდროოდ მოუსპო სიცოცხლე. თუ მივიღებთ მხედველობაში კიდევ იმ ისტორიაში უმაგალითო მოვლენას, რომ ჩვენს დროში ბიუროკრატიის პირმშო შვილი—პოლიცია უსისიანებს ხალხს ინტელიგენციასა და მოწავლეებზე, შეგვიძლიან წარმოიდგინოთ, რა საშინელ პირობებში უნდა იმუშაოს ექიმმა და ყოველმა ინტელიგენტმა, რომელსაც ხალხის მწუხარება თავის მწუხარებად მიაჩნია და [illegible] შეძლებისა დაგვარად დახმაროს.

მეორე საჭირო პირობა ხოლერის წინააღმდეგ ბრძოლისთვის არის ბეჭდვითი სიტყვის სრული თავისუფლება. გარდა ამისა, რომ პრესსა მარჯვე იარაღია ყველ ცოდნის ხალხში გასავრცელებლად, ხოლერის მძვინვარების დროს თავისუფალ პრესსას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს; მის საშუალებით დაუფარებლივ და სიმართლით იტყობს საზოგადოება, თუ როგორ ვრცელდება სენი, რა ზომებია მიღებული, რამდენად გულმოდგინეთ ასრულებენ თავის მოვალეობას სენის წინააღმდეგ ბრძოლაში ისინი, ვისაც საქმე აქვს მინდობილი და სხვა. დიდიხანი არ არის მას აქეთ, რაც მთელ რუსეთის გუბერნიები შავი ჭირის მხრივ საშიშარი ყოფილა, და საზოგადოებამ ეს ამბავი შეიტყო მხოლოდ მაშინ, როცა შიშს საფუძველი აღარ ჰქონდა. რატომ? იკითხავთ მაგ კითხვით მიმართეთ ბიუროკრატიას, რადგან მაგ კითხვაზე არა ბიუროკრატია დასაბუთებულ პასუხს ვერ მოგცემთ.

მესამე საჭირო პირობა არის თავისუფლება კრებისა და ხელშეუხებლობა პიროვნებისა. ხოლერის მძვინვარების დროს დიდი მნიშვნელობა აქვს ჰიგიენურ პირობებს, რომელშიაც სცხოვრობს ხალხი. მეცნიერებამ ეჭვს გარეშე ჰყო, რომ სადაც ცუდი ჰიგიენური პირობებია, სადაც სიბინძურეა, სადაც არ იციან, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს მდინარეს ხოლერის გავრცელებისთვის, ხოლერა მძვინვარებს, აუარებელ ხალხს იმსხვერპლებს და ბრძოლა თითქმის უნაყოფოა. თვითონ ხალხმა უნდა შეიგნოს ჰიგიენურ პირობების გაუმჯობესების საჭიროება და მხოლოდ მაშინ შეიძლება ნაყოფიერი ბრძოლა გადამდებ სენის წინააღმდეგ. მაგრამ დღევანდელ პირობებში განა შეიძლება ამისთანა ბრძოლა? ჯერ ხომ ნებართვა უნდა აიღო ხალხის შეკრებისა და საექიმო ცნებების განმარტებისა? ამას კარგი დრო უნდა. და თუ თქვენ ნება დაურთველად განუმარტეთ ხალხს ეგ ცნობანი, ყოველ მამასახლისს უფლება აქვს წარგადგინოთ, სადაც ჯერ არს, როგორც მავნე კაცი, არსებულ წეს-წყობილების დამრღვევი და ჩვეულებრივ სიჩუმის მტერი. მანამ თქვენს თავს გაიმართლებთ, ხოლერა თავის საქმეს გააკეთებს. ამიტომ არის საჭირო სრული თავისუფლება შეკრებისა და ხელ-უხლებლობა პიროვნებისა.

მეოთხე საჭირო პირობა არის ხალხის ეკონომიურ მდგომარეობის გაუმჯობესება. საექიმო მეცნიერებამ ერთხელ და სამუდამოდ დაამტკიცა, რომ ხოლერა იქ იკიდებს ფეხს, სადაც სიღარიბეა და მისი თანამგზავრი უსუფთაობა. ბიოლოგიური კანონი, რომ ბრძოლისთვის უკეთესად მომზადებული ორგანიული სხეული ბრძოლაში იმარჯვებს, სრულის სინამდვილით იჩენს თავს ხოლერის დროს. მაშინაც-კი, როცა მეცნიერება არ იცნობდა ხოლერას, როცა ამ უკანასკნელის ბიოლოგიური მხარე არ იყო გამოკვლეული, როცა ხოლერის ვიბრიონზე წარმოდგენაც არავის არა ჰქონდა და როცა სენი მთელის თავის სისასტიკით მძვინვარებდა ხოლმე ხალხში, ხალხი არ ამოწყვეტილა, უმეტესობა ან სრულიად არ გამხდარა ავად, ან თუ გამხდარა, სხეულს ავადმყოფობა უძლევია. მაშ გარდა თვითონ ხოლერის არსებობისა, საჭირო ყოფილა კიდევ სხვა რამეც, რაც ხელს უწყობს ხოლერის გავრცელებას და ადამიანთან დასნეულებას. ეს სხვა რამე გახლავთ ადამიანის სხეულის მომზადება სენის მისაღებად; თუ სხეული მძლავრია, თუ იგი თავის ბიოლოგიურ ფუნქციებს ნორმალურად ასრულებს, ათასობით რომ ჩაუვარდეს მას ხოლერის ვიბრიონი, სხეული მაინც დასძლევს და მოიშორებს თავიდან. თვითონ სხეულს ბევრი და ძლიერი იარაღი აქვს, ბუნებისაგან მინიჭებული, ყოველგვარ სნეულებასთან საბრძოლველად და ამ ბრძოლაში იგი ყოველთვის გამარჯვებული გამოვა, თუ-კი დასუსტებული, დაავადმყოფებული არ არის. ორგანიულ სხეულის სიმძლავრისთვის, მის ნორმალურ პირობებში ყოფნისათვის ყველაზე უსაჭიროესია საზრდო, რომლის საშუალებითაც უნდა აღადგინოს დახარჯული ენერგია. ადვილი წარმოსადგენია, თუ იქ, სადაც ხალხის მატერიალურ კეთილ-დღეობაზე მმართველობა არა ფიქრობს, სადაც დრო გამოშვებით შიმშილობაა, სადაც ხალხს კისერზე აწევს აუარებელი არა პირდაპირი ანუ პირდაპირი გადასახადი და იმავე დროს წარმოდგენა არა აქვს ინტენსიურ მეურნეობაზე, რომ გაადიდოს მიწის შემოსავალი, სხეული დასუსტებულია და ნიადაგი ხოლერის გაძლიერებისათვის მომზადებული. სწორედ ესეთი სურათია დღეს რუსეთში. უკანასკნელმა უაზრო ომმა, ახლად შემოღებულმა არა პირდაპირმა გადასახადებმა ხალხი უკიდურეს მატერიალურ დაბეჩავებამდის

რა ხერხიც გინდა იხმარონ, სოფელს იმათი აღარ ეშინიან; პირიქით, ერთმა მათგანმა, სოფლის მამასახლისმა აიძრო ჯაჭვი და თავს უშველა, რადგან ამ ვაჟბატონს ბევრი ცოდვები მიუძღვის სოფლის წინაშე.

27 მარტს მოხდა სოფლის დიდი ყრილობა: ბევრი ილაპარაკეს თავის გაჭირვებულს უნუგეშო და შევიწროებულს ყოფა-ცხოვრებაზედ. ამ ყრილობამ დაგვიმტკიცა, რა ერთსულოვნებით და ერთობით არის გატაცებული ჩვენი ხალხი, დაგვიმტკიცა, რომ მას კარგად ესმის დღევანდელ ცხოვრების ავიც და კარგიც და მისი ვითარება. ხალხმა ილაპარაკა სკოლაზედ და ნათლად გამოირკვა, რომ სკოლა ხალხს-კი არ ემსახურება, არამედ გარდაუქცევიათ ბავშვების სატანჯავად და გამოსატვინებლად. ხარჯს ბევრს იხდიან და ხალხმა მაინც არ იცის ან-ბანი. მაშ რისთვის გვინდა სკოლა, თუ ჩვენს შვილებს ან-ბანსაც არ ასწავლიანო, აღარ გვინდა ამისთანა სკოლაო. დაითხოვა მასწავლებელი და გამოუცხადა, ერთ გროშსაც აღარ გავიღებთ სკოლის შესანახადაო. ამნაირად დღეს ჩვენი სკოლა დაიკეტა. ყრილობამ განაცხადა, სკოლა გვინდა, მაგრამ ისეთი სკოლა, რომელიც ჩვენის შვილების სწავლა განვითარებას ემსახურებოდესო. ყრილობაზედ გამოირკვა, რომ სოფელი ერთობ უკმაყოფილოა სახელმწიფო მიწების აგენტისა, რომელმაც ჩამოართვა სოფელს საუკეთესო სახნავი მამული ესრედ წოდებული „თხილია ყურე“, რომლითაც მამა-პაპიდან სოფელი სარგებლობდა; აუარებელი ფული გაუღია ამ მამულში და ახლა კი სოფელს ჩამოერთვა და გადმოხვეწილ რუსებს მიუთალესო.

ამავე კრებაზედ დაადგინეს გამოიტანონ და როგორც თვითონ უნდათ, ისე მოიხმარონ ხაზინაში შენახული სასოფლო სამეურნეო თანხა, რომელსაც დღემდე ვერ ხმარობენ. ბოლოს ხალხმა მოსთხოვა მოხელეებს წარმოედგინათ სასოფლო ფული, რომელიც მათ ჰქონდათ მინდვრებიდან აღებული. ბევრმა იკადრა და ამოალაგა სოფლის ფული, მაგრამ ერთმა გაიძვერა მწერალმა-კი მოჰკურცხლა და თავს უშველა, ვინემ ხალხი დაიშლებოდა. **განწირული.**

—

ზუგდიდის მაზრაში, როგორც „კავკაზ“-ს ატყობინებენ, ქუთაისის გენერალ-გუბერნატორს ბრძანება გაუცია. სოფლების მუხურისა, ჯგალის, ობუჯის და ქაქვინჯის სოფლებისთვის უბრძანებია, გასცენ დამნაშავენი. ამისთვის გენერალ-გუბერნატორს გაუგზავნია ზუგდიდის მაზრის უფროსი კაპიტანი ზენჩენკო. 29 მარტს, შუადღისას, უკან დაბრუნების დროს მაზრის უფროსს, შვიდ დარაჯს და ოთხ ყაზახ რუსს ჩაუსაფრდა და თოფების სროლა დაუწყო გავარდნილ აგიტატორის კედიას ბრბომ. ეს ბრბო ასე ორმოცი კაცისაგან შესდგებოდა. სროლის დროს, როგორც ეტყობა, მოკლულ და დაჭრილ იქმნა ოთხი კაცი. მაზრის უფროსის მხლებელთაგანს-კი ერთ ყაზახ რუსს მოუკლეს ცხენი. 25 მარტის ღამეს ამავე კედიას ბრბომ გადასწვა ახუთის სასოფლო კანცელარიის საქმეები.

—

დ. ოჩამჩირედან გაზეთ „კავკაზ“-ს სწერენ: „24 მარტს ოჩამჩირეში დაიწყო მოვლის თავის საქმეებით სადაბო სამმართველო. დაბის მცხოვრებთ, უმთავრესად მეგრელთ, სრულიად უარი სთქვეს გადასახადების გაღებაზე. ბევრ ვაჭარს აღარ უნდა სავაჭრო საბუთების აღება, არა სწამთ ადგილობრივი პოლიცია, ემუქრებიან რუსებს გარეკას. მღვდელსა და მასწავლებელს მოსთხოვეს, ქართულად სწირონ და ქართულად ასწავლონ. ეს მოძრაობა ედება კოდორისა და სამურზაყანოს ნაწილის სოფლებს. არეულობის ჩასაქრობად ადგილობრივ გაიგზავნა ჯარი.“

ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა შორის

გუშინ, 1 აპრილს, თავად-აზნაურთა კრება გახსნა თავმჯდომარემ თავ. ა. ჯამბაკურიან-ორბელიანმა. აუარებელი გარეშე ხალხიც დაესწრო ამ კრებას. თავმჯდომარემ გამოუცხადა, რომ თავად-აზნაურთა გუშინდელმა კერძო კრებამ დაწვრილებით განიხილა ორი პროექტი ხელმწიფის სახელობაზე გასაგზავნ ადრესისა და დღეს, ვგონებ, ბევრი სალაპარაკო არა გვექნება რა. წავიკითხოთ ადრესის პროექტები და ერთ-ერთი იმათგანი მივიღოთ ხმის ჩამოტარებითო.

ჩილაევი კ. ბ. (გენერალი) ჰკითხულობს: ყველას აქვს ამ კრებაზე ხმის უფლება და თავად-აზნაურთა გარეშეს აქ, ამ კრებაზე მონაწილეობა, თუ არაო?

თავმჯდომარემ განმარტა, რომ ყველა თავად-აზნაურს აქვს უფლება კრებას დაესწროს, ხოლო საქმის გადაწყვეტაში მონაწილეობა იმას შეუძლია, ვისაც კანონით ამის უფლება აქვს მინიჭებული.

ჩილაევი. ვინაიდან დღეს კავკასიის ნამესტნიკის გრაფ ვორონცოვ-დაშკოვის ფრიად საყურადღებო დეპეშაა გამოცხადებული, საჭიროდ მიმაჩნია ჩვენი განსახილველი მეორე საგანი გადავსდოთ გრაფის ჩამოსვლამდე.

თაქთაქიშვილი თავ. გ. მ. თხოულობს, რომ ყოველ თავად-აზნაურს მიეცეს საქმის გადაწყვეტის უფლება.

თავმჯდომარე. სანამ კანონი ძალაშია, შეუძლებელია ამის ასრულება.

მუსხელიშვილი ვ. ამტკიცებს, რომ ვისაც ცენზი აქვს, იმას მხოლოდ შეუძლია არჩევაში მონაწილეობა, ხოლო ეხლა ყოველგვარ საკითხების გადაწყვეტაში ყველა თავად-აზნაურს შეუძლია მონაწილეობა მიიღოს, რადგან კანონი ამას არ უშლის.

ჩოლოყაშვილი. თავ. დ. ე. (სიღნაღის მაზრის წინამძღოლი) სწორედ ამ გვარადვე ხსნის კანონის ძალას თავად-აზნაურთა მონაწილეობის შესახებ.

თავმჯდომარის წინადადებით წაიკითხეს ერთი პროექტი ადრესისა.

ჯორჯაძე თავ. ა. გუშინ მთელი დღე მოვანდომეთ ადრესების პროექტების არჩევა-განხილვას. კრებამ [illegible] ტექსტი გამოარჩია და, მე გონია, დღეს ამაზე ლაპარაკი მეტი იქნება. მეორე პროექტიც მოვისმინოთ და მერე პირდაპირ კენჭის ჩამოტარებით ერთ-ერთი ამათგანი მივიღოთ.

სიტყვას თხოულობს ერთი, არა ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა მონაწილე — თავმჯდომარე სიტყვის თქმის ნებას არ აძლევს. ხმაურობა დაიწყო. გაისმის: „არ შეგიძლიათ ნება არ მოგვცეთ“!.. „ვინ მოგიწოდათ ქართველ ხალხის სახელობით სალაპარაკოდ“!.. „ყველას შეუძლია ლაპარაკი“!..

საზოგადოებაში დიდი მოძრაობა დაიწყო. აქა-იქ ბევრ ადგილს ჯგუფ-ჯგუფად ხმა-მაღლა და გაცხარებული ლაპარაკია. დარბაზში ისეთი ხმაურობა ადგა, რომ აღარა ისმის-რა გარკვევით; „დაჰხურეთ კრებას!..“ გაისმის აქეთ-იქიდან.

ფარხნიშვილი თავ. ი. ხმა-მაღლა თხოულობს, კრება დროებით შესწყვიტეთ და ყველამ თავ-თავისი აზრი თავისუფლად წარმოსთქვასო.

კრება შესწყდა. თავმჯდომარე და დეპუტატები მეორე ოთახში გავიდნენ. დარბაზში დიდხანს გაისმოდა ცხარე ბაასი ჯგუფ-ჯგუფად თავშეყრილ წრეებში. ასე გასტანა თითქმის ნახევარ საათამდე. შემდეგ თავმჯდომარემ კრება ისევ გახსნა; კრების განახლებისას ხანგრძლივი კამათი გამოიწვია ადრესმავე. ამ კამათს ხვალ დავბეჭდავთ, ეხლა-კი მოგვყავს აქ ადრესი, რომელსაც კენჭი უყარეს.

„ხელმწიფევ!“

„ტფილისის გუბერნიის ქართველი თავად-აზნაურობა, პირველად შეიკრიბა რა საგანგებო კრებაზე სრულიად რუსეთის ტახტის მემკვიდრის დაბადების შემდეგ, უქვეშევრდომილესად ულოცავს თქვენს იმპერატორებით უდიდებულესობას და ხელმწიფე დედოფლებს ამ სასიხარულო ამბავს როგორც თქვენ უავგუსტოესის ოჯახისა, ისე რუსეთის სახელმწიფოსათვის.

„მიუხედავად იმ სიძნელისა, რომელსაც რუსეთი იტანს როგორც ბრძოლის ველზე, ისე შიგნით იმპერიაში, ქართველი თავად-აზნაურობა რწმენით და იმედით შეჰყურებს მომავალს. ამ თავად-აზნაურობას კეთილის მომასწავებელად მიაჩნია ის გარემოება, რომ სამეფო ყრმის აკვანს აშუქებს ახალ ცხოვრების განთიადი, გადმოცემული ტახტიდან 18 თებერვლის რესკრიპტით. ეს რესკრიპტი პირველი სხივი იყო ომის და უბედურების ძნელ წელიწადს.

„ამ მნიშვნელოვან ისტორიულ მომენტში, როდესაც რუსეთი მოწოდებულია შემოქმედებით მუშაობისთვის, ქართველ თავად-აზნაურობას, ისევე როგორც მთელ ქართველ ხალხს, დიდ რუსეთთან ერთობის ერთგულს, იმ ერთობის ერთგულს რომელიც განმტკიცებულ იქნა სამოქალაქო ასპარეზზე და აღბეჭდილ იქნა ბრძოლის ველზე ერთ დროშის ქვეშ დაღვრილ სისხლით, მოძმე რუსის ხალხთან ერთად, მტკიცედ სწამს, რომ ახლოა ის ბედნიერი დღე, როდესაც რუსეთის თავისუფლად არჩეული წარმომადგენელნი, ერთვნების განურჩევლად, შეუდგებიან მოწყობას რუსეთისა და განაპირა ადგილებისას, მათ შორის საქართველოსაც, რომელიც შესდგება ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიების და ბათუმის, სოხუმის და ზაქათალის ოლქებისაგან.

„თავად-აზნაურობა, ზრუნავს რა სახელმწიფოს საზოგადო სარგებლობის და საჭიროებისათვის, მტკიცედ დარწმუნებულია, რომ მშვიდობიანი და კულტურული განვითარება ქართველ ხალხისა შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუ საქართველოს, რუსეთის სახელმწიფოს ამ განუყოფელ ნაწილს და ნებაყოფლობით იმასთან შეერთებულს, მიენიჭება უფლება საკუთარ კანონებით მართვა-გამგეობისა. ეს კანონები უნდა შედგენილ იქნას ადგილობრივ წარმომადგენლობით კრების მიერ, არჩეულს მთელის საქართველოს მცხოვრებთა საყოველთაო, პირდაპირ, საიდუმლო და თანასწორ ხმის უფლებით.

„ქართველი თავად-აზნაურობა, ზემო-აღნიშნულს დასდებს რა თქვენის იმპერატორებით უდიდებულესობის ფეხთა წინაშე, ღრმად დარწმუნებულია, რომ ასრულებს თავის მოვალეობას ტახტისა და სამშობლოს წინაშე“.

კენჭის ყრა გათავდა ექვსის ნახევარზე, თეთრი აღმოჩნდა 44, შავი 6. ამ რიგად ადრესი მიღებულ იქნა.

სკოლა, ქართველები და ქართული ენა სამეგრელოში

სამი-ოთხი წელიწადია, რაც სამეგრელოში სასულიერო მთავრობა მედგრად შეუდგა ქართულ ენის აღმოფხვრას, მის განდევნას როგორც ადგილობრივ ოთხ-კლასიან სასულიერო სასწავლებლიდან, ისე საეკლესიო სამრევლო სკოლებიდან, რომელთა რიცხვი მთელ სამეგრელოში ას ორმოცდა ათამდის აღის. ქართულ ენის მოსპობისათვის არა ზოგავენ არავითარ საშუალებას: ყოველ ზომას ხმარობენ ოღონდ განდევნონ ეს ენა და მის ადგილას დაამკვიდრონ რუსული ენა. პოლიტიკანი მეუფროსე სასულიერო სასწავლებლისა ქართულ ენის სწავლების მოსპობას როდი სჯერდება. იმის აზრით, მასწავლებელთა და მოსწავლეთა ურთიერთ შორის ქართული ლაპარაკი და კითხვა თუ დარჩა, რუსული ენა ვერ მოიკიდებს ფეხს ისე მკვიდრად, როგორც სასურველია და ამიტომ ერთგულმა მოხელემ წინადადება მისცა ქართველ მასწავლებელთ, რომ მათ ამიერიდან სასწავლებლის კედლებში არამც თუ მოსწავლეებთან, ურთიერთ შორისაც ქართულად არ ილაპარაკონ, ქართული გაზეთი არ იკითხონ. „მთავრობის მიერ მოცემული ინსტრუქციის ძალით მე ვალდებული ვარ თვალ-ყური ვადევნო ყოველ თქვენს ნაბიჯს, ყოველ თქვენ ყოფაქცევას და ვინც წინააღმდეგობას გამიწევს, იძულებული ვიქნები მთავრობას მოვახსენოო.“

კარგი და პატიოსანი, მოწაფეებმა ილაპარაკონ რუსულად, ეს მათთვის საჭიროა და უფრო კარგადაც შეისწავლიან რუსულ ლაპარაკს, მაგრამ სამასწავლებლო ოთახში ქართველმა მასწავლებელმა ქართულად ილაპარაკოს ქართველთანვე ან ქართული გაზეთი წაიკითხოს — ეს ან მთავრობას რას წაართმევს, ან მოწაფეებისთვის რა ცუდი და გამრყვნელი მაგალითია; რომელ პედაგოგიის მუხლი ირღვევა ამით?! ვერ მივხვდარვართ, ვერ გაგვიგია, რა მტრობა და სიძულვილი იხატება ამისთანა მოთხოვნილებაში. ეს არის მომრეობა, ერთის ბატონობა, მეორის მონობა, რასაც არავითარი ადგილი არ უნდა ჰქონდეს სწავლა-აღზრდის საქმეში. ჩვეულებრივ ასეთ დევნის გასამართლებლად ბრძანებენ ხოლმე: „სამეგრელოში ქართული ენა ისპობა, სწავლა ქართულ ენისა არ იქნება, მოწაფეებს ნება არა აქვთ ქართულის ლაპარაკისა, რომლის მოსასპობად უკვე „მარკებია“ შემოღებული და ყოველ კლასში დარიგებული, და თუ მასწავლებლებს ნება მიეცათ ქართულ ლაპარაკისა, ეს ცუდად იმოქმედებს მოწაფეებზე; ამიტომ საჭიროა იმათაც არ ილაპარაკონ ქართულ ენაზეო“. ასეთ მოხელეების ხელშია დღეს ჩვენი ახალი თაობა, ჩვენი მომავალი იმედი. თუ რა შევიწროვებულია ქართველობა, შემდეგის მაგალითიდან ცხადად დარწმუნდა მკითხველი. ერთი ხანში შესული, მაღალ დიპლომით აღჭურვილი ქართველი სამასწავლებლო ოთახში კითხულობს გაზეთ „ცნობის ფურცელში“ დაბეჭდილს 1904 წლის 12 დეკემბერს გამოცემულ უმაღლეს ბრძანებას და იქვე ახლო მყოფ რუს მასწავლებელს უთარგმნის ზოგიერთ მუხლს. ამ მასწავლებლის ქართულ ენაზე გაზეთის კითხვა მოესმა თურმე მეორე ოთახში მყოფ მეუფროსეს და ნახეთ მისი განრისხება! ფიცხლავ იბარებს თავის კაბინეტში და ეუბნება: „როგორ გაბედეთ თქვენ აქ, სასწავლებელში ქართულ გაზეთის კითხვა, თუ მასხარად გვიგდებთ, აქამდის ვერ გაიგეთ, რომ ქართულ ენაზე ლაპარაკს და კითხვას აქ, ჩემ საუფროსოში, ადგილი არა აქვს. კიდევ თუ გაბედეთ, უმაღლეს მთავრობას მოვახსენებ თქვენ ურჩობას და მთავრობის განკარგულებისადმი თქვენს უპატივცემულობას...“ ქართველმა მასწავლებელმა, ერთხელ დამფრთხალმა ჩერნიგოვის გუბერნიაში უსამართლოდ გადასახლებით, ვერაფერი გაუბედა ამისთანა სასტიკ უფროსს ვერ დაინახა საჭიროდ თავის დაცვა და უსამართლო შენიშვნის წინააღმდეგობა და მას აქეთ ქართული გაზეთი ხელში არ აუღია.

ამისთანა მაგალითები ერთი და ორი არ არის. ამის მსგავსს და კიდევ უარესს შევიწროებას ითმენენ სხვებიც. ყველა ქართველი მასწავლებელი ისეა შეკრულ-შებორკილი, თითქოს დიდი პოლიტიკური დამნაშავე იყოს. ამის დამწერს, არა ერთხელ მქონია შემთხვევა მენახა ეს მასწავლებლები ამისთანა შევიწროებულ მდგომარეობაში. ხსენებულმა მეუფროსემ ქართული ლაპარაკის მოსპობის გარდა მოსპო აგრეთვე ორ უკანასკნელ მაღალ კლასში ქართულ ლიტერატურულ ენის სწავლება, აუკრძალა მოსწავლეებს ქართულ წიგნების კითხვა, გამორიცხა ქართული ენა იმ პროგრამიდან, რომლითაც სამასწავლებლო პირები იჭერდნენ ეგზამენს და დაწყებით სკოლის მასწავლებლის უფლებას ღებულობდნენ, გააძლიერა რწმუნებულ მისდამი სასწავლებელში რიცხვი რუს მასწავლებელთა და აღმზრდელთა, რომელნიც მიიწვია ვენევიდან, ეფრემოვიდან და სხვა რუსეთის შიდა გუბერნიების ქალაქებიდან იმ დროს, როცა ჩვენებურნი, უფლებით შემოსილნი, თხოულობდნენ ადგილებს.

ყველა ზემოხსენებული ცხადად ამტკიცებს, თუ რა თვალით უყურებს პოლიტიკანი უფროსი ქართულ ენას. ცხადია, რომ მას სძულს ეს ენა, ეჯავრება იგი, ერთი გაგონებაც-კი ნერვებს უშლის, ალელვებს და ამისათვის კიდევაც სდევნის. ქართული ენა რომ სძულს, ცხადია ამ ენის მქონე მესაკუთრე ერიც სძულს და თუ ერი სძულს, მისი სამსახური ერისა და იმის შვილებისადმი ყალბი, უნაყოფო და უსარგებლოა.

ეგრისელი

ახალი ამბავი

◆ უმაღლესის მთავრობის განკარგულებით, **ტფილისში არსდება კომისია.** ამ კომისიამ უნდა გამოარკვიოს რაოდენობა იმ დღიურ ფასისა, რომელიც მიეცემა რკინის გზის მუშებს, ზეინკლების თანაშემწეებს და შეგირდებს. კომისიამ ფასის დანიშვნის დროს უნდა გამოიკვლიოს, რამდენად გაძვირდა ამ ბოლო დროს ცხოვრება და სხვა.

31 მარტს შეიკრიბნენ ვერის სატივოსთან ასამდე **ტფილისის ღვინის მოვაჭრე** და ამოარჩიეს ხუთი კაცი. ნ. ბ, ენიკოლოფოვი, ა. მერაბოვი, მ. ედიბერიძე, მლელაშვილი და ბ. ტოროხოვი. ამათ მიანდეს იშუამდგომლონ ქალაქის მოურავის წინაშე რომ დაუთმოს მათ ქალაქის საბჭოს დარბაზი. მოვაჭრეებს უნდათ მოილაპარაკონ დუქნების გაღება-დაკეტვის დროს განწესრიგების შესახებ.

◆ როგორც ვწერდით, **ნაძალადევის მცხოვრებთ** სთხოვეს ქალაქის გამგეობას, იჯარით აღებული ადგილები საკუთრებად დაეთმოთ. ამ საგნის შესახებ მოხსენება საბჭოს წარედგინება 4 აპრილს.

◆ ტფილისელ **დურგალთა, ქარგალთა და შეგირდთა კრებამ,** როგორც ვწერდით, შეიმუშავა თავის მდგომარეობის გამაუმჯობესებელი პროგრამა. კრებას დაესწრო 300 კაცზე მეტი. კრებამ სცნო უვარგისობა და გამოუსადეგრობა ეხლანდელ ამქრულ ორგანიზაციისა და ხელოსანთა გამგეობისა. ყოველ წლივ ამ გამგეობაზე მარტო დურგალთა ამქრის მხრივ სამასი თუმანი იხარჯება და სარგებლობა-კი არაფერია. კრებამ ერთხმად დაადგინა: ამქრული წყობილება, როგორც შეუფერებელი დღევანდელ ცხოვრებისა, სრულიად გაუქმდეს. შემდეგ კრებამ დაადგინა, ამის შემდეგ აღარ მიიღოს დურგალთა საზოგადოებამ მონაწილეობა ამქრის ორგანიზაციის — ხელოსანთა გამგეობის თანამდებობის კაცთა არჩევაში და აღარც გაიღოს ამ ორგანიზაციისთვის გადასახადები. ამას გარდა კრების დადგენილებით უნდა აიკრძალოს ავეჯეულობის ბაზარში გატანა გასასყიდად და ვაჭრობაზე გასაღება; უნდა განისაზღვროს თითოეულ სახელოსნოში შეგირდების რიცხვი და ნება არ მიეცეს ხელოსნებს 15 წელზე ნაკლებ ყმაწვილების მიღების; სახელოსნოები უნდა დაიკეტოს კვირა-უქმე დღეებში და სხვა. დასასრულ კრებამ დაადგინა, შემოიღოს 8 საათის მუშაობა დღეში, დადგენილებათა სისრულეში მოსაყვანად კრებამ აარჩია 15 კაცისაგან შემდგარი კომისია. კომისიის წევრებად არიან: ბართლომე ვაშაკიძე, მიხეილ ჩოდრიშვილი, იოსებ მაჰვარიანი, კოლა ცაბაძე, არშაკ ოჯოევი, ნიკო კობიზევი, გიგო თოიძე, ვასო ყორღანოვი, ისაკ რუსიევი, გიორგი მაისურაძე სანდრო ჩოდრიშვილი, იოსებ არშინაშვილი, ალექსი ყარაევი, არუთინა ელიკაშვილი და ნიკო კარაევი.

◆ დღეს, 2 აპრილს, ტფილისის საარტისტო საზოგადოების სადგომში, ბ-ნი პ. მ. ყარა-მურზა მასწავლებელ ქალთა საზოგადოების სასარგებლოდ **წაიკითხავს ლექციას.** თემა ლექციისა: „თანამედროვე იდეალიზმი“.

◆ რადგან ტფილისის ქალაქის კასაში ბევრს **არ შეაქვს დასაფასებელი გადასახადი,** გამგეობამ დაადგინა, გადიდებულ ჯარიმის გადახდევინება დასაფასებელ გადასახადის შეუტანლობის გამო დაიწყოს ამა წლის 1 იანვრიდან.

◆ მოგვივიდა მარტის ნომრები **საყმაწვილო „ჟურნალ „ნაკადულისა“:** მოზრდილთათვის მე-5 ნომერი, მცირე წლოვანთათვის მე-9 და 10 ნომრები.

◆ შიოევის ქალმა კარგა ბლომა ფული დატოვა ქალაქს სკოლების დასაარსებლად და სხვა რამე განმანათლებელ დაწესებულების შესაქმნელად. ქალაქის სასწავლებელთა გამგე კომისიამ დაადგინა, შიოევის თანხის წმინდა შემოსავალი გადაიდოს ყოველ წლობით საზღვარ-გარედ ახალგაზრდობის გასაგზავნად სწავლის მისაღებად. გამგეობამაც მიიღო ეს წინადადება.

◆ ტფილისის საგუბერნიო ქალაქის საქმეთ საკრებულომ დაამტკიცა მოქალაქეთა რწმუნებულების სია და მოქალაქეთა გამგეობის ხარჯთაღრიცხვა.

◆ ტფილისის ქალაქის საბჭომ ამას წინად დაადგინა, 2000 მანეთით შემწეობა აღმოუჩინოს სამხატვრო სასწავლებელს იმ პირობით, რომ ამ ფულით სასწავლებელში ინახებოდნენ ქალაქის გამგეობისაგან ამორჩეული სტიპენდიანტები. სამხატვრო აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა სთხოვა ქალაქის გამგეობას, უპირობოდ მიეცეს ფული სამხატვრო სასწავლებელს. ამის გამო გამგეობამ დაადგინა წარუდგინოს იგი საბჭოს განსახილველად.

◆ ქალაქის გამგეობამ დაადგინა მოუმატოს ჯამაგირი სასწავლებლის მოსამსახურეებს.

◆ მოგვივიდა ახალი წიგნაკი „ქეთო და ვანო“, თხზულება ერმ. ცოგავასი. ფასი ორი შაური.

მიიყვანა. თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ უმეტესი ნაწილი (800,000) ჯანმრთელ ახალგაზრდობისა სამშობლოდან გაწვეულია მანჯურიაში, უნდა გამოვტყდეთ, რომ ხოლერას დიდი სამკალი მოელის რუსეთში.

მეხუთე საჭირო პირობა არის ხალხის თვითმოქმედების გაძლიერება და ინტელიგენციის ხალხთან დაახლოვება. ზევითაც იყო ნათქვამი და კიდევ უნდა გავიმეოროთ, რომ ხოლერასთან ბრძოლა მაშინ მოიტანს ნაყოფს, როცა თვითონ საზოგადოება, ხალხი შეგნებულად ებრძვის. წინააღმდეგ შემთხვევაში ბრძოლა უნაყოფოა. ამიტომ აუცილებლად საჭიროა ინტელიგენცია და კერძოდ ექიმები დაუახლოვდნენ ხალხს, იყოს გაფართოებული როგორც ინტელიგენციის, ისე ხალხის თვით-მოქმედების ასპარეზი, რათა ლექციების კითხვით, ხალხის განვითარებით ბრძოლას მიეცეს ორგანიზაციული ხასიათი. ესე იგი უნდა მოხდეს ის, რაც ბიუროკრატიას დიდი ხნია ძილს უფრთხობს. ბიუროკრატიამ კარგად იცის, რომ ხალხის და ინტელიგენციის დაახლოვება მას, ბიუროკრატიას, ნიღაბს ახდის და გამოაჩენს მთელის მისის სიმშვენიერით, და ეგ ხომ უქადის მას ხალხთან ბრძოლას თვით-არსებობისათვის. ბიუროკრატიას კარგად ესმის და აკი ყოველ ღონეს ხმარობს, რომ დაახლოება არ-მოხდეს, და აკი ამ მოსაზრებით შეადგინა დებულებანი ხოლერის წინააღმდეგ საბრძოლველად. უმაღლესად დამტკიცებული და გამოცემული 1903 წ. ეს დებულებანი პირმშო შვილია ბიუროკრატიისა და მათ შორის დიდი მსგავსებაც არის. დებულებანი ნამდვილი ფსიხოლოგიაა ბიუროკრატიისა: ჩვეულებრივი „Централизація власти“, არა ნაკლებ ჩვეულებრივი „я разрѣшаю но впрочемъ не попущу“! ყოვლად ძლიერი, ყოვლის მცოდნე ბიუროკრატია აქაც ბელადობას იჩენს, თუმცა ეს ბელადობა სრულიადაც არ შვენის და შეჰფერის.

უმაღლესად დამტკიცებულ დებულებათა ძალით არსდება სამი სანიტარული აღმასრულებელი კომისია: 1. უმაღლესად დამტკიცებული, რომელიც პეტერბურგში ბინადრობს: 2. საგუბერნიო სანიტარულ—აღმასრულებელი კომისია.

ვისგან შესდგება პირველი კომისია, არ არის ნათქვამი, მხოლოდ შეიძლება ვიგულისხმოთ, რომ კომისიას შეადგენენ მინისტრები შინაგან საქმეთა მინისტრის მეთაურობით. დანიშნულება კომისიის ორნაირია. ა) გამოცხადება არა კეთილ საიმედოთ ხოლერის ანუ შავი-ჭირის მხრივ გუბერნიისა ანუ ოლქისა, სადაც ხოლერა ანუ შავი-ჭირი უკვე მძვინვარებს; ბ) გამოცემა სავალდებულო დადგენილებათა ყველა უწყებასა და პირთათვის ხოლერის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ. როგორც ხედავთ, პეტერბურგის კომისიას ლაგამი ხელში უჭირავს. მეორე და მესამე კომისია უფრო გამორკვეულია. რაკი-და საქმე ეხება შავ-ჭირსა და ხოლერას—თან ბრძოლას, ხალხის ჯან-მრთელობის ინტერესი მოითხოვს, რომ კომისიებში უმრავლესობას ექიმები შეადგენდნენ, რადგან სენის კურნება მათ კომპეტენციას შეადგენს. ახალი აზრი, რასაკვირველია, ამას მოითხოვს. ბიუროკრატიის დადგენილება სხვაგვარია. გუბერნიის კომისიას შეადგენენ: თავმჯდომარე—გუბერნატორი ანუ მისი მოადგილე; წევრები: ვიცე-გუბერნატორი, გუბერნიის მარშალი, სახაზინო პალატის გამგე, საფაბრიკო უფროსი ინსპექტორი ოლქის სამთო ინჟინერი, პოლიცმეისტერი, და სხვა ამ გვარი. მხოლოდ თითო ექიმი ქალაქის და გუბერნიის ერობის საბჭოსაგან.

სამაზრო სანიტარულ-აღმასრულებელ კომისიაში ათ წევრს შორის მხოლოდ ორია ექიმი. ისიც ჩინოსნები. როგორც გუბერნიის, ისე სამაზრო სანიტარულ-აღმასრულებელი კომისია ხელმძღვანელობს პეტერბურგში გამოცემულ დებულებით. თავის ინიციატივით სამაზრო კომისია ვერაფერს გააკეთებს, თუ არ დაეკითხა გუბერნიის კომისიას; ეს უკანასკნელი სრულიად დამოკიდებულია პეტერბურგის კომისიის დადგენილებაზე. არც ექიმებს, არც ინტელიგენციას და არც ხალხს არა აქვს არაფერი უფლება თავის თავს თავისივე ცოდნით და მოსაზრებით მოუაროს. აი, ეს არის უმაგალითო ბიუროკრატიის ნაშრომი, რომელმაც შეჰქმნა კანცელარია იქ, სადაც ცოცხალი, სწრაფი და თავისუფალი მუშაობაა საჭირო; ეს არის ცნობილი კრიალოსანი, რომელსაც მაზრის კომისია აჩხარუნებს პეტერბურგსა და იქიდან უკან ჩამოაჩხარუნებს: ირთობს თავს ძლევა-მოსილი ბიუროკრატია იმ დროს, როდესაც ტანჯული ხალხი ათასობით ხდება ულმობელი სენის მსხვერპლად. ეს არის ძირითადი განხეთქილება, რომელმაც გამოიწვია მოსკოვში ექიმთა კრების არა ორ აზროვანი დადგენილება. დიახაც, ძნელია დღევანდელ პირობებში ხალხის სასარგებლოდ მუშაობა და ყოველი შეგნებული ადამიანი და განსაკუთრებით ექიმი დიდის თანაგრძნობით მიეგებება მოსკოვში ექიმთა კრების დადგენილებას. *)

ვ. მუსხელიშვილი

---

*) იხილე „ცნ. ფურ.“-ის 2784 ნომერი, რუსეთის ქრონიკაში „პიროგოვის კრება მოსკოვში“.

ტფილისის ქალაქის საქმეები

31 მარტი

ამ დღეს საბჭოს მოუნდა ორ საქმის განხილვას. კრების დაწყებისას ხმ. ხუდადოვმა განაცხადა, როგორც შევნიშნე, უსახელო საზოგადოებას ძალიან ცოტა ვაგონი გამოჰყავს სამუშაოდ. ვაგონებს ყოველ სადგურზე დიდ-ძალი ხალხი აწყდება. ადგილებს ვერ პოულობენ და იძულებულნი ხდებიან დიდს ხანს უცადონ ხოლმე შემდეგს ვაგონებს. თუ ხელშეკრულებით მეტის ვაგონების გამოყვანა არ შეეძლიათ, მოვითხოვოთ, ელექტრონის ვაგონებზე ძველი პატარა ვაგონებიც მიაბან ხოლმეო. ქალაქის მოურავმა აღუთქვა საბჭოს ამ საქმის შესახებ შესაფერ საშუალებას გიხმართო.

როგორც თავის დროზე აღვნიშნეთ, ქალაქის მცხოვრებთა ჯანმრთელობისთვის მზრუნველმა კომისიამ აღძრა საკითხი ქალაქისთვის განსაკუთრებულ მომრიგებელ მოსამართლის თანამდებობის დაწესების შესახებ. ეს საგანი განსახილველად ჰქონდა იმავე კომისიას. კომისიის აზრით, სასამართლოს შესანახად ყოველ წლობით 6300 მან. მოუნდება. გამგეობას ეს წინადადება მოუწონებია, ხოლო საფინანსო კომისიას ნაადრევად უცვნია. ამ საგანმა საბჭოში დაუსრულებელი კამათი გამოიწვია, თითქმის ორი საათი „იბრძოლეს" ხმოსნებმა, ბოლოს საბჭომ მომრიგებელ სასამართლოს თანამდებობის დაწესება ნაადრევაო სცნო და უარჰყო წინადადება. თავ. ჩერქეზიშვილმა სთქვა, სასამართლოს ბოქაულის თანამდებობა მაინც უნდა შევქმნათ, რომ შევვეძლოს მომრიგებელ მოსამართლეთა დადგენილებების დროზე სისრულეში მოყვანაო. საბჭომ დაადგინა, ეს მოხსენება განიხილოს მაშინ, როცა მსჯელობა ექნებათ საიურისკონსულტო ნაწილის რეორგანიზაციის შესახებ.

დასასრულ საბჭომ განიხილა ნავთლუღის მცხოვრებთა საერთო შუამდგომლობა, რომ ელექტრონის ტრამვაის განზრახული მიმართულება ნავთლუღისაკენ შეიცვალოს. მცხოვრებნი თხოულობენ, ტრამვაი პრობილევის ქუჩაზე იქნას გაყვანილი. ეს შუამდგომლობა გამგეობამ და ხმოსან-ტეხნიკოსებმა უყურადღებოდ დასტოვეს. საბჭომაც უყურადღებოდ დასტოვა იგი.

ქუთაისის ახალი ამბები

✦ 30 მარტს თავად-აზნაურთა წინამძღოლის მიერ დეპუტატთა საკრებულოში მიწვეულ იქნენ სათავად-აზნაურო გიმნაზიის მასწავლებელნი. როგორც გუშინაც გწერდით, მეცადინეობა მოხსენებულს სასწავლებელში, თუმცა სრული კომპლექტი არ არის ყველა კლასებში და სწავლაც ვერ არისო ნორმალურს კალაპოტში ჩამდგარი. მიზეზად ამისა იმას ამბობდნენ მასწავლებელნი, რომ ჩვენი ბავშვები, ცხადია, სხვა მოწაფეების გავლენის ქვეშ არიან. თებერვლის შუა რიცხვებში ორის-სამის დღით ჩვენც შევწყვიტეთ სწავლა და ამის თაობაზე შეგვეკითხა მთავრობა, მოწაფეები თვითონ თავის ნებით გამოცხადნენ სასწავლებელში სწავლის [illegible] გავაგრძელოთ სწავლასაო. ჩვენი გიმნაზია სხვა პირობებშია და თუ მთავრობის სასწავლებლების მოწაფენი სწავლის შეწყვეტით განაცხადებენ პროტესტს—ჩვენი პროტესტი ის იქნება, რომ განვაგრძოთ სწავლაო... ეს უნდა განვუმარტოთ კარგად დახურულ სასწავლებლის მოწაფეთა და სხვა კერძო პირთაც, რომელთაც უკვირთ, რომ ჩვენ სწავლას ვაგრძელებთ კადევაო. თათბირი იმით გათავდა, რომ მოვიცადოთ აპრილის 25-დის, ნადღესასწაულევამდის, რომ ამ დღისთვისაც ყველა მოწაფენი შეჰპირდნენ მისვლას და თუ რაიმე უკიდურესმა გარემოებამ ხელი არ შეგვიშალოს, დიდი დრო აღარ დარჩება ეგზამენებამდის და როგორც იქნება, თუ ძალიან არ გაგვიჭირდება, მანამდის გავუძლვეთ საქმესაო.

✦ დღეს დილით კიდევ წავიდა აქედან კარგა ძალი ქვეითი ჯარი რაჭა-ლეჩხუმისაკენ. ამის ნაცვლად, აქ კომპლექტის შესავსებად, ხშირად მოდის ცხენოსანი და ქვეითი ჯარიც.

✦ წყალ-წითელაზე წამლის საწყობის დარაჯების რიცხვი გაამრავლეს. დარაჯები უდგანან ყველა ბანკებსა და ხაზინასაც. ფულის გამტან-გამომტან მოხელეთ თან მისდევენ ცხენოსანი დარაჯები.

ქუთაისის ქალაქის საქმეები

28 მარტი

28 მარტს, როგორც იქნა, მოხდა ქალაქის საბჭოს კრება. თავმჯდომარემ დ. ა. ლორთქიფანიძემ მოახსენა კრებას სამწუხარო ამბავი ქალაქის მდივნის ივ. ილ. ჯაფარიძის გარდაცვალების შესახებ. საბჭომ ფეხზედ ადგომით პატივი სცა განსვენებულის ხსოვნას და დახურულის კენჭის ყრით დაადგინა: მიეცეს განსვენებულის ოჯახობას 1/2 წლის ჯამაგირი 700 მანეთი.

უყურადღებოდ დასტოვეს მეპურეების თხოვნა ნიხრის მომატების შესახებ.

ხანგრძლივი კამათი გამოიწვია გუბერნატორის წინადადებამ პოლიციელთა შტატის გადიდებისა და მათის ჯამაგირების მომატების შესახებ. ამ ბოლო დროს, როდესაც მთელ ქუთაისის გუბერნიაში საომარ დროის წესებია, ძლიერ გახშირდა ავაზაკობა და ქალაქის მშვიდობიან მცხოვრებთა ძარცვა-გლეჯა. გუბერნატორი წინადადებას იძლევა მოემატოს პოლიციელთა რიცხვს დრიებით 20 კაცით, რომელთაც ძველებთან ერთად მომატებული ჯამაგირი უნდა დაენიშნოთო. ქალაქს დღეს 57 პოლიციელი ჰყავს. აქედან 46 იღებს თვეში 12 მან. 50 კაპ. და უფროსები—15 მანეთს. ქალაქის მოურავმაც სცნო საჭიროდ პოლიციელთა რიცხვის მომატება. ამ სიამოვნებისათვის ქალაქს, რომელიც დღიურ მუშებს ქირას ვერ აძლევს და მუშა დღეს რომ იმუშავებს, ორ დღეს კასის სარკმეთანაა ატუზული და ფულის მიღებას უცდის, დასჭირდება ყოველწლიურად არა ნაკლებ 5000 მანეთისა. დ. ა. ნაზაროვმა იკითხა, ქალაქის შემოსავლიდან რამდენი % მიდის პოლიციის შესანახადაო. აღმოჩნდა, რომ ქალაქის ნამდვილ შემოსავლიდან პოლიციაზე იხარჯება 22%, ე. ი. მეხუთედზე კიდევ მეტი, რაც, მგონი, სხვა ქალაქებში არსად არ უნდა ხდებოდეს. ისიც აღმოჩნდა, რომ ამ კითხვის განხილვის დროს თვით ქალაქის გამგეობაში მომხდარა უთანხმოება: ქალაქის მოურავი ერთს აზრს დასდგომია და საჭიროდ დაუნახავს პოლიციის გაძლიერება, გამგეობის წევრნი კი ამის წინააღმდეგნი გამხდარან. ვ. ნ. კანდელაკმა და გრ. ი. გველესიანმა ბევრი უმტკიცეს საბჭოს, პოლიციელთა რიცხვის გაძლიერებით ჩვენ მიზანს ვერ მივაღწევთ, ვერც ქურდობა-ავაზაკობასა და ძარცვა-გლეჯას მოვსპობთ და ვერც ხალხს დავაწყნარებთო. პოლიციითა და საზოგადოთ რეპრესიულ ზომებით რომ ხალხის დამშვიდება და ყველა ბოროტების მოსპობა შეიძლებოდეს, მაშინ ხომ ქუთაისში არავითარი არეულობა და ძარცვა-გლეჯა არ უნდა იყოს, რადგან ქალაქში საომარ დროის წესია შემოღებული და მთელი ქალაქი ქვეითი და ცხენოსანი ჯარითაა სავსე, რომელიც მათრახებსა და თოფის კონდახებს [illegible] რომელსაც ისე უყურებენ, როგორც თავის მტერსა და არა როგორც მშვიდობიანობა-წესიერების დამცველსაო. როგორც ქალაქის გამგეობა, ისე ქალაქის საბჭოც ორად გაიყო: ერთი თხოულობდა პოლიციელთა რიცხვის მომატებას, მეორე—არა. ცხარე კამათის შემდეგ თავმჯდომარემ საქმე გამორკვეულად სცნო და დაუდგა ყუთი. 10 ხმის უმეტესობით 9 ხმის წინააღმდეგ საბჭომ საჭიროდ სცნო 20 ახალი პოლიციელის დაქირავება; 14 ხმის უმეტესობით 3 ხმის წინააღმდეგ კი გადაწყდა პოლიციელთ ჯამაგირი მოემატოს ყოველ თვიურად 2 მ. 50 კაპ.

ქალაქის სასკოლო კომისიის თავმჯდომარედ ერთხმად არჩეულ იქმნა ი. ი. ოცხელი.

დონ-ვალიანი

წერილები

ფოთი (ნოქრების გაფიცვა). დღეს ყოველი ადამიანი დაობებულ ცხოვრების პირობების შებრძოლებით არის გატაცებული და სცდილობს მის განახლებას. 28 მარტს დილის ათ საათზე აქაურმა ნოქრებმა მუშაობას თავი მიანებეს, გარედ გამოვიდნენ და გაავრეს ქუჩებში თავიანთი მოთხოვნილებანი. ამასთანვე განუცხადეს თავიანთ აღებს: „სანამ ჩვენი მოთხოვნილებანი არ დაკმაყოფილდება, ისე ჩვენი შეთანხმება მოუხერხებელიაო". დღეს მეორე დღეა, რაც გაიფიცნენ, მაგრამ ვაჭრებისა და ნოქრების შეთანხმების შესახებ არავითარი მოლაპარაკება არა ჰქონიათ, რადგან ოფიციალურად კრების გამართვისათვის ნება არ მიუღიათ, ვისგანაც ჯერ არს. მუშაობაზე ხელი აიღეს აგრეთვე სასტუმროებისა და სასადილო ადგილების მზარეულებმა და ლაქიებმა. აქვე მოგვყავს მათი მოთხოვნილებანი: 1. კვირა-უქმეებში მაღაზიები და სახელოსნოები უნდა დაიკეტოს მთელის დღით, ხოლო სასადილო დუქნები, სასტუმროები და ყავახანები დილის 8 საათიდან საღამოს 11 საათამდე; 2. ყოველი დღიური ვაჭრობა განისაზღვროს დილის 8 საათიდან საღამოს 8 საათამდე და ამ ხნის განმავლობაში საუზმე-სადილობის დროს მიეცეს 2 საათი თავისუფლება; 3. ნოქრებსა და შეგირდებს, განურჩევლად სქესისა, მოემატოს 30 პროცენტი ჯამაგირისა; 4. სადურგლოებსა და სხვა სახელოსნოებში მოსპობილ იქმნეს ნაჭრობით მუშაობა, მის მაგიერ დაწესდეს დღიური ხელ-ფასი 1 მან. 2 მან., რომლის სამუშაო დრო განისაზღვროს ზემოხსენებულ მეორე მუხლის მიხედვით; 5. ბინის მაგიერ მიცემულ იქმნას სახლის ქირა. 6 მოისპოს ახალგაზდა ნორ-ყმაწვილის მუშაობა, რომელიც 16 წელს არ აღემატება, ისეთ ადგილებში, სადაც მაგარ სასმელებს ჰყიდიან; 7. ყველა საქმეში გაუქმდეს უჯამაგირო სამსახური; 8. სახარაზოებში, მეჩექმეებსა და თერძებთან თექვსმეტ წლისაზე ნაკლებ შეგირდებისათვის დაწესდეს 6 საათის სამუშაო დრო, ამასთან მიეცეთ მათ სუფთა სანოვაგე და ტანსაცმელი; 9. სახელოსნოებში შეგირდებათ მიღებულ იქმნან არა ნაკლებ 10 წლისა; 10. აკრძალულ იქმნას ისეთი შრომა, რომელსაც პირდაპირი დამოკიდებულება არა აქვს ხელობასთან; 11. კვირა-უქმეებში ბაზარში ვაჭრობა მოსპობილ იქმნეს დილის ათის საათიდან; 12. მეპურეებს, მეყასბეს და სხვა ამგვარ სანოვაგის გამყიდველს მიეცეს მუშაობის ნება უქმე დღე მხოლოდ დილის 10 საათამდის და საღამოს 6—8 საათამდე; 13. 16 წლისაზე ნაკლებ შეგირდებისათვის დაევალოს აღებს იზრუნონ მათ გონებრივ-ზნეობრივ აღზრდაზე, როგორც სასარგებლო წიგნების მიწოდებით, ისე ჟურნალ-გაზეთების კითხვის შეყვარებით; 14. უქმეებში ყავახანები გაიღოს მარტო შუადღის 12 საათიდან საღამოს 10 საათამდე; 15. საპარიკმახერო და სადალაქო ადგილებში საქმე დღე მუშაობა სწარმოებდეს 8—10 საათამდის, უქმეებში კი სულ შესწყდეს; 16. სარდაფები და სხვა მაგარ სასმელების საწყობები იმ წესით გაიღოს, როგორც სხვა მაღაზიები და დუქნები.

ი. იანეთელი.

ღამის დეპეშები

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან"

[illegible]

[illegible] ი ჰოლანდიის ესკადრა შეამჩნიეს.

[illegible]ო, 31 მარტი. „დეილი მეილი" იუწყება საიგონიდან, როჟესტვენსკის ესკადრის სავოსპიტლო გემი გუშინ დილით შევიდა საიგონში, რათა სანოვაგე, ნახშირი და საექიმო პრეპარატები წაიღოსო. ეს გემი ხვალ შუადღეზე გავა ზღვაში და გაემართება როჟესტვენსკის მთავარ რაზმისკენ.

შანხაი, 31 მარტი. (მორნ. პოსტი). აქ ჰფიქრობენ, კრეისერი „ასკოლდ"-ი და ნაღმოსანი „გროზოვოი" ჩუმად ემზადებიან ზღვაში გასასვლელადო. იაპონიამ ჩინეთს აცნობა ეს ამბავი, მაგრამ უკანასკნელს არ შეუძლია ხელი შეუშალოს გემების ზღვაში გასვლას.

ვაშინგტონი, 31 მარტი (რეიტერი). საზღვაო დეპარტამენტი გზავნის კრეისერ „რალეი"-ს კიუიოში, ფილიპინებზე, რათა მან თვალყური დაიჭიროს რუსისა და იაპონიის ესკადრებზე.

ტოკიო, 31 მარტი. („დეილი ტელეგრაფ"), ოფიციალურად გამოცხადდა, რომ ტყუილია ის ცნობა, ვითომც რუსებს იაპონელთ 7 გემი ჩაეძიროთ.

გონკონგი, 31 მარტი. სამშაბათს, საღამოს იაპონელთა ორმა გაუნათებელმა კრეისერმა ჩაიარეს როკის კონცხთან, რამდენიმე მილის მანძილზე, სამხრეთით გონკონგიდან და სამხრეთით გაემართნენ.

პეტერბურგი, 31 მარტი. ბეჭდვითი სიტყვის შესახებ დაარსებულმა საბჭომ უარჰყო წიგნებისა და დროგამოშვებით გამოცემების სურათებისა ცენზურა და დაადგინა, ილიუსტრაციებს ისეთივე ბედი უნდა ეწიოთ, როგორიც გამოცემებს, თუ უკანასკნელებში დაინახეს კანონის წინააღმდეგო შინაარსი და გაუქმებულ იქნას საცენზურო წესდების მე-82 მუხ., რომელიც უფლებას აძლევს გუბერნატორს გაუშვას დასაბეჭდათ ერობათა, თავად-აზნაურთა, სამოქალაქო, საზოგადოებრივ და წოდებრივ კრებათა დადგენილებანი და აგრეთვე სხდომების შესახებ ანგარიში.

პეტერბურგი, 31 მარტი. ოფიციალური. ოთხშაბათს ფინანსთა მინისტრმა მიიღო მოსკოვის მუშების დეპუტაცია. მინისტრმა შემდეგი უთხრა მუშებს: „ბევრი თქვენ მიერ წარმოდგენილი საკითხები უმაღლესად დანიშნული კომისიის ხელთ არის და იქ გადაწყდება. რაც გაფიცვის კანონს შეეხება, ვფიქრობ, გაფიცვისთვისა და ფაბრიკიდან თავის ნებით წასვლისთვის დასჯა გავაუქმოდ. სასტიკად დაისჯებიან ძალდატანებით მოქმედებისათვის პირადობისა და კერძო საკუთრების წინააღმდეგ. რაც ზედმეტ მუშაობას შეეხება, ეს საკითხი სერიოზულად იქნება შემუშავებულიო".—პროფესიონალურ განათლების საკითხს, მინისტრის აზრით, დიდი მნიშვნელობა აქვს და ის სულით და გულით ეცდება, ამ საკითხმა ფეხი მოიკიდოს რუსეთში. სახელოსნოებში მუშაობას დიდი ხანია მოწესრიგება სჭირიაო. შემდეგ მინისტრმა განუცხადა მუშებს, ჩემის თავმჯდომარეობით კომისია ნაადგომევს დაიწყებს მუშაობას იმ საკითხების შესახებ, თუ როგორ უნდა მოეწყოს მუშათა ორგანიზაციებისა და მათის დაზღვევის საქმეო. დაბოლოს მან ურჩია მუშებს, დაწყნარდით და ელოდეთ კომისიის მუშაობის შედეგსაო და განუცხადა მათ, ყოველი ღონისძიება იქნება ნახმარი რაც შეიძლება ჩქარა გამოიცეს კანონებიო. ყოველნაირი გაფიცვები მხოლოდ ხელს უშლიან სამინისტროს მუშაობას, რომელსაც მუშების ინტერესების დაცვა აქვს მიზნათო.

პეტერბურგი, 1 აპრილი. გამოეცხადა მო[illegible] სამარა-ზლატოუსტისა, ციმბი[illegible] დროს და რომელიც [illegible] ომის გათავების შემდეგ მათ მოქმედებათა დაფასებისას. გზათა მინისტრმა განიხილა რკინისგზებზე მოსამსახურეთა პეტიციები და საჭიროდ სცნო ამ ჟამად მხოლოდ პატარა ჯამაგირები განიხილოს, რომელიც მეტად მწვავეა სტახტის და სხვა ქალაქებში ცხოვრების სიძვირისა გამო. ეს ჯამაგირები უპირველესად საჭირო მოთხოვნილებასაც-კი ვერ უკმაყოფილებენ რკინის გზის მოსამსახურეებს; ამ მცირე ჯამაგირების გასადიდებლად საჭიროა ხარჯთ-აღრიცხვის დამატებითი შევსება, რკინის გზის ადგილობრივ მოხელეებს მიენდო, შეისწავლონ საქმის ვითარება და კანონიერად დააკმაყოფილონ შუამდგომლობანი, რომელნიც არ ითხოვენ ახალ ხარჯს და რომელნიც სამსახურის პირობების განკარგებას შეეხებიან. ამასთან ერთად განკარგულება მოხდა, რაც შეიძლება ჩქარა, მომზადებულ იქნას კანონ-პროექტი საერთო დებულებისა მოსამსახურეთა შესახებ, რომელშიაც შევა მსახურისა და [illegible] განკარგების შესახებ გამოთქმულ შუამდგომლობათა დედა აზრი, სადისციპლინო წესდების კანონ-პროექტის არსებითი ნაწილი და დებულება მუშაობისა, დასვენებისა, და სხვა ღონისძიებათა შესახებ, რომელნიც დეკანონებას ითხოვენ.

ლუღანსკი. რადგანაც სააგრარო არეულობას მოელიან, ამიტომ აქ კაზაკების ორი სოტნია მოვიდა. ქალაქის თავმა ტელეგრაფით სთხოვა გუბერნატორს, განათავისუფლოს ქალაქი კაზაკებისთვის საჭირო ხარჯისაგან, რადგანაც, ქალაქში შეუძლებელია აგრარული მოძრაობა.

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან"

1 აპრილი

პეტერბურგი. რათა რ. ი. კონდრატენკოს დიდებული სახსენებელი უკვდავ ჰყონ, იმპერატორმა უმოწყალესად ნება დართო გაიმართოს სამხედრო სამსახურის პირთა შორის ხელის-მოწერა ნებაყოფლობით ფულიის შემოწირულებაზე; ამ საქმის შესამუშავებლად უნდა დაინიშნოს საგანგებო კომისია მთავარ შტაბთან.

პეტერბურგი. ლინევიჩის დეპეშა ხელმწიფის სახელზე, 1905 წ. 31 მარტის თარიღით: „27 მარტს ჩვენი ცხენოსანი რაზმი მივიდა სოფ. მაჩენტაის საზღვრამდე, დაანგრია ტელეგრაფი რკინის გზაზე ჩაკუფუსთან და კაიუაინ-ჩანტუფუს გზაზე".

პეტერბურგი. სამარყანდის ოლქის სამხედრო გუბერნატორს ყოვლად მოწყალედ ვითხოვთ სამსახურიდან და ვაძლევთ კავალერიის გენერლობას.—ნება მიეცა შლოსბერგს გამოსცეს ხოლმე ვილნოში ყოველდღიური გაზეთი „ნოვაია ზარია", რომელიც პირველი სპეციალური ორგანო იქნება რუსის ებრაელთა ვის.

ლონდონი. ჩემბერლენის მომხრეების კრებაზე, რომელსაც დაესწრო 150 კაცი პარლამენტიდან, ჩემბერლენმა რეზოლიუცია წაიკითხა, რომელშიაც მან უარი განაცხადა საფინანსო უკიდურეს პოლიტიკაზე და წინადადება მისცა დამსწრეთ, მიემხრონ ბალფურის ზომიერ პოლიტიკას. რეზოლიუცია მიღებულ იქნა. ხვალ დეპუტაცია, ჩემბერლენის მეთაურობით, აცნობებს ბალფურს ამ გადაწყვეტილებას. ინციდენტს საპარტიო პოლიტიკური ხასიათი ეძლევა. შედეგები სერიოზული მოჰყვება მას. პირველ შედეგად პარლამენტის დათხოვნა იქნება.

ათინა. მეფემ იმპერატორი ვილჰელმი საბერძნეთის ფლოტის ადმირალად დანიშნა.

პეტერბურგის ბირჟა 29 მარტს 1905 წ.

[illegible] 10 გირვ. ტ. . . .	94,30
[illegible]00 მარკაში . . .	46,10
[illegible] ფრანკში. . . .	—
[illegible] ჩეკები. . . .	94,90
"	46,30
[illegible]	37,72½
პარიჟის დისკონტი	5¼—6¾%
1% სახელმწიფო რენტა	85
4%-ანი სახელმწ. სესხი 1902 წ. . .	—
4½% შინაგანი სესხი 1903 წ. . .	—
4% გირ. ფურ. სახელ. ს.-მამ. ბანკ. .	—
5% 1 შინ. სესხ. მომ. ბილ. 1864 წ. .	376½
5% მეორე შინ. სესხ. მომ. ბილ. 1866 წ.	295½
5% გირ. მომ. ფურც. სახ. სა.-მამ. ბან.	268
5% ობლ. ტფილ. საკრ. საზოგ.	—
5½% ობლ. იმავე საზოგად. . .	—
5%-ანი ობლ. ბაქოს საკრ. საზოგ. . .	—
5% გირ. ფურც. ტფილ. ს.-მამ. ბანკ. .	—
4½% გირავ. ფურც. ამავე ბანკისა . .	—
6% გირ. ფურ. ქუთ. ს.-მამ. ბანკისა .	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა . .	85
ა. ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია . . .	—

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ზ. ჯაბადა

გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

15 ოქტომბრიდან.

ფრჩხილებ გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა.

ა) ტფილისიდან მიდის:

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 მარტო სამშაბათობით) საღამოს 5 ს. 21 წ. (6 ს. 19 წ.); 2) საპოსტო № 4 საღამოს 5 ს. 40 წ. (6 ს. 38 წ.;) 3) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 44 წ. (8 ს. 42 წ.); 4) საქონლისა და სამგზ. № 18 ღამის 10 ს. 24 წ. (11 ს. 22 წ.).

ბათუმს: 1) საფოსტო № 3 ნაშუადღევის 4 ს. 20 წ., (5 ს. 18 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.).

ერივანსა და ყარსს: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 11 ს. 55 წ. (12 ს. 53 წ.); 2) საქონლ. სამგზ. № 90/91 დილის 10 ს. (10 ს. 58 წ.).

ბორჯომს: სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. 40 წ. (3 ს. 38 წ.).

ტფილისში მოდის:

ბაქოდან: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ პარასკევს), ნაშუადღევის 2 ს. 26 წ. (3 ს. 24 წ.);. 2) საფოსტო № 3 ნაშუადღევის 3 ს. 03 წ. (4 ს., 01 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 5 ს. 56 წ. (6 ს. 54 წ.); 4 საქონ.-სამგზ. № 17 ღამის 11 ს. 38 წ. (12 ს. 36 წ.).

ბათუმიდან: 1) საფოსტო № 4 საღამოს 4 ს. 56 წ. (5 ს. 54 წ.); 2) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 01 წ. (7 ს. 59 წ.).

ერივან-ყარსიდან: 1) საფოსტო № 76/77 დილის 5 ს. 35 წ. (6 ს. 33 წ.); 2) საქონ.-სამგზ. № 92/93 ნაშუადღევის 3 ს. 50 წ. (4 ს. 48 წ.).

ბორჯომიდან: სამგზავრო № 8|7 დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.).

ბ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ [illegible] კვირაში) ნაშუადამევის 1 ს. 15 წ. (2 ს. 13 წ.); 2) საფოსტო № 3 საღამოს 7 ს. 52 წ. (8 ს. 50 წ.); 3) სამგზ. № 5 შუადღის 12 ს. 40 წ. (1 ს. 38 წ.); 4) საქ.სამგზ. № 17 დილის 5 ს. 40 წ. (6 ს. 38 წ.).

გ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) საფოსტო № 4 დილის 4 ს. 36 წ. (5 ს. 34 წ.); 2) სამგზავრო № საღამოს 6 ს. 05 წ. (7 ს. 03 წ.).

დ) ქუთაისიდან გამოდის:

1) სამგზავრო № 51 ღამის 12 ს. 05 წ. (1 ს. 03 წ.); 2) სამგზავრო № 53 დილის 8 ს. 25 წ. (9 ს. 23 წ.); 3) სამგზავრო № 55 ნაშუადღევის 2 ს. 20 წ. (3 ს. 18 წ.); 4) სამგზავრო № 57 საღამოს 6 ს. 20 წ. (7 ს. 18 წ.).

განცხადებანი

ქირით

იძლევა ღვთაების მონასტრის დუქანი, მსურველთ მიმართონ არქიელის ეკონომს მოსალაპარაკებლად. (1—1)

✦ გორო-ნაფტალინი ✦

სრულიად აქრობს თავის ქერტლს, ამაგრებს თმას და ხელს უწყობს თმის ამოსვლას; ამასთან თმას ნამდვილ სახეს აძლევს.

ნება დართულია სამკურნალო განყოფილებისაგან როგორც უვნებელი ნივთიერება. საწყობი საა ფთიაქო საქონლის კავკასიის ამხანაგობისა ტფილისსა. ბაქოსა და ბათუმში; რუსეთის აფთიაქებსა და საპარფიუმერო მაღაზიებში.

ფასი 1 მან. 25 კაპ. (5—3)

✦ კბილებს ✦

ვიღებ, პლომბს ვუკეთებ, ვასუფთავებ, ვსვამ ახალ იელოვანურ კბილებს და ვამძრებ ცუდ სუნს. გ. მ. ხოხველი. მიხეილის ქ., № 108. გერმანელთა ტაძრის პირდაპირ. ხელ-მოკლეებს იაფად. (30—26

СѢДЕЛЬН. СПЕЦІЯЛЬН.

Безъ конкуренціи

продаются всевозможн. сѣдла.

მიხაილოვის პრ., სახლი აკოფოვისა, № 92, საზაფხულო სობრანიის ახლოს. (ფ—176—202)

ქუთაისში

სამ. ბ. თოფურიას

სამკურნალო,

რომელიც იმყოფება მათი უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ. სამკურნალოში 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, სახირურგიო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდებ სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს.

დღიური ფასი საავადმყოფოში შენახვის, და წამლებით 1 მანათიდან 3-მდე.

ტფილისის ქალაქის

გამგეობა

აცხადებს, რომ ამა წლის 5 აპრილისათვის დანიშნულია საჯარო ვაჭრობა, რომელზედაც იჯარით გაიცემა განცხადების გაკვრის საქმე ქალაქის საგანცხადებო ბოძებზე.

ბოძების გასინჯვა შეიძლება გამგეობის მე-4 განყოფილებაში ყოველ დღე, კვირაეებს უქმგარდა, 9½-დან 2½ ს. (3—2)

ახლად დაბეჭდილი

სამზარეულო

ფასი 1 მან. 50 კაპ.

იყიდება წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგ. კიოსკში, ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ, ალექსანდრეს ბაღის კუთხეში, ქ. ტფილისში. ვისაც ათის ან მეტის ეგზემპლიარის ყიდვა ჰსურს, მიჰმართონ ქართველთა ამხ. კანტორას, ვანქის ქუჩაზე, ამხ. სტამბაში. (25—21)

სიბრძნე-სიცრუე

ახალი გამოცემა

იყიდება ქართველთა ამხანაგობის კიოსკში.

პირველი საწყობი

შეშისა

✦ გ. ი. კურცხალიასი ✦

ანდრეევის ქუჩა, დამოენის პირდაპირ. საკუთარის ტყიდან მიღებულია დიდ-ძმლი შეშა ყოველგვარ ღირსებისა, რცხილისა, წიფლისა, მუხისა, რთხმელისა და სხვა მუხის დიდი ბოძები. შეშის სახლში მიტანას ფირმა საკუთარ პავოზკებით ასრულებს. შეშა იყიდება საჟნობითაც და ფუთობითაც. მყიდველს ნება აქვს შეშის ჩაჟენი თავის თვალ წინ დაადგმევინოს, რადგანაც მსყიდველები ბევრჯელ სტყუვდებიან დადგმულ საჟენებიდან. მეორე განყოფილება იმყოფება ვერის ხიდის ყურთან. (90—27)

გამგე ნიკოლოზ პავლეს ძე კიკნაძე.

«წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობისა»

კიოსკში

ლორის-მელივის ქუჩა, ალექსანდროვის ბაღის კუთხეში, იყიდება ამხ. გამოცემული წიგნები:

	მ.	კ.
დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა—პოემა ბაჩანასი	—	10
იოსებ დავითაშვილის ლექსები	—	50
ბნელი, მოთხრობა—მელანიასი	—	20
ალ. ყაზბეგის I, ტომი	1	50
II და III ტომი თითო	1	—
ი. ჭავჭავაძის I ტომი	—	70
იგივე II და III ტომი თითო	—	60
იგივე IV ტ. ორ წიგნათ	—	80
სოფლის კუნწულა, დ. მაჩხანელისა	—	10
სიბრძნე-სიცრუე—საბა სულხან ორბელიანისა	—	40
აკაკი წერეთლის I და II ტ. თითო	—	60
რაფ. ერისთავის I ტომი	—	60
საქართველოს წარსული დრო—პოტტოსი	—	20
აივენგო რომანი—ვალტერ სკოტისა	—	55
სიბრძნე ბალავარისა	—	30
აღა-მაჰმად-ხანის შემოსვლა ტფილისში	—	10
ღვინის დაყენება, პროფ. გ. პეტრიაშვილისა	1	50
რძე, მისივე	1	50
ცეცხლითა და მახვილითა, რომანი—გენრიხ სენკევიჩისა	—	80
დასტურ-ლამა	—	20
სურათები საქართველოს მეფეთა, დედოფალთა და ბატონიშვილთა	—	25
ფიზიოლოგია—ფოსტერისა	—	20
ხენთი რაფფისა, თარგ. სომხურიდან კ. მგანგულოვისა	—	1

Доз. цен. Тифлисъ, 1 Апрѣля 1905 г.

Электропеч. груз. изд. т—ва. ელექტრონის სტამბა წიგ. გამომ. ამხ—ბ.